ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 204 (19645) ◆ პარასკევი, 5 სექტემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ტიუმენის გაზი ამიერკავკასიაში

თავდადებით შრომობს მშენებელთა კოლექტივი, რომელსაც გაჰყავს მოზდოკ-ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენი. ეს 300-კილომეტრიანი მაგისტრალი გააგრძელებს უკვე მოქმედ ფსკოვ-აქსაი-მოზდოკის ხაზს.

მაღალმთიან ყაზბეგის რაიონში ამინდის რთულ პირობებში მუშაობენ ქართველი მშენებლები. მათ გაჰყავთ გვირაბები, აგებენ ღვარცოფებისა და ქვაცვენისაგან დამცავ ნაგებობათა სისტემებს, იღებენ კლდის გრუნტს, ადუღებენ მილებს. გაზსადენის სიგრძე, რომელიც მათ გაჰყავთ, ექვსი კილომეტრია. უკვე გაყვანილია კილომეტრ-ნახევარი გზა.

სურათებზე: გამჭოლი ბრიგადის მოწინავე გვირაბგამყვანი სიმონ გენიაშვილი; ბრიგადის მუშათა საბჭო.

შ. აივაზოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელი ალოობა

სათაურში გამოტანილი ეს სიტყვები ჭეშმარიტად წლევანდელი საჭირნახულო ლაშქრობის მთავარ თავისებურებას გამოხატავს. თუმცა იოლი ალოობა ვის უნახავს. მოსავლის დაბინავება ყოველთვის მიწათმოქმედის სიმტკიცის, საზრიანობისა და თადარიგიანობის გამოცდაა, მაგრამ წლევანდელი სიძნელეები განსაკუთრებულია: თუ სამხრეთ ოსეთში ჰექტარზე საშუალოდ 36 ცენტნერი მარცვლეული გალეწეს, ასპინძაში, ახმეტასა და სხვა რაიონებში ამის ნახევრის მიღებაც ვერ შეძლეს — გეგმები ჩაეშალათ. 4-11 აგვისტოს ხობისა და ზუგდიდის რაიონებში არც ერთი ტონა უხეში საკვები არ დამზადებულა; ამ კვირაში წალენჯიხაში მოიმარაგეს მხოლოდ 2 ტონა, ჩოხატაურში — 42, გეგეჭკორში — 56. თანაც ამ რაიონებს ფერმებთან, საერთოდ, შარშანდელზე ნაკლები საკვებია მიტანილი და წლევანდელი გეგმების რეალიზაციამდეც ჯერჯერობით ბევრი უკლიათ; ამავე პერიოდში იგივე საკვები დმანისის რაიონში დამზადდა 5.914 ტონა, სიღნაღში — 217, მიუხედავად იმისა, რომ ორივე რაიონი ფურაჟის მომარაგების შარშანდელ ტემპს მნიშვნელოვნად უსწრებს.

ეს საპირისპირო მაჩვენებლები, უწინარესად, უშუალოდ ბუნების ჭირვეულობასთან არის დაკავშირებული, რომელმაც ჯერ კიდევ გაზაფხულზე იჩინა თავი და შემოდგომის დამდეგსაც არ ცხრება. არ ცხრება იმ დროს, როცა მიწათმოქმედს უამრავი საქმის ერთად მოზღვავების გამო ისედაც დიდი სიფრთხილე, საზრიანობა, გამოცდილება და ზოგჯერ რისკიც კი მოეთხოვება, რადგან თუ ჭირნახულის აღებისას აჩქარდება, დანაკარგები მოუვა, ხოლო თუ დაიგვიანებს, უფრო მეტს იზარალებს.

ამ რთულ ვითარებაში გადამწყვეტია არა მარტო საქმის ორგანიზაციის დონე, არამედ პასუხისმგებლობა; ხელმძღვანელების უნარი, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაძაბულ პერიოდში მიაგნონ სწორ გამოსავალს, გამოიჩინონ ინიციატივა და არა ისე, რომ თავიანთი ყველა საზრუნავი სხვას გადაულოცონ.

მოსავლის აღების ტემპი და შეჯიბრების შედეგები მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების, სამეურნეო ანგარიშის დანერგვაზე. მოსავალი, რესურსების დანაზოგი, შრომის ნაყოფიერება მეტია იქ, სადაც იჯარას, სამეურნეო ანგარიშს წიგნიერად ითვისებენ და პრაქტიკულადაც იყენებენ. მაგალითად, გარდაბნის რაიონის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც კარგა ხანია მომარჯვებული აქვთ კოლექტიური იჯარა, დღითი დღე ფართო გასაქანი ეძლევა გერგილიანობას სამეურნეო საქმიანობაში, მატულობს თითოეული მიწათმოქმედის დაინტერესება და პასუხისმგებლობა წარმოების ინტენსიფიკაციისათვის, საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევისათვის. ამის წყალობით აქ წლეულს შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ათასი ტონით მეტი ბოსტნეული მიჰყიდეს სახელმწიფოს და ვალდებულებების რეალიზაციაც გარანტირებულია.

გარდაბნელების, საერთოდ, მოწინავე ბრიგადებისა და რგოლების, მექანიზებული რაზმების გამოცდილება მოწმობს, რომ დიდი რეზერვების ამოქმედება შეიძლება ოსტატობისა და ორგანიზებულობის მეშვეობით. ქობულეთის რაიონის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც პლანტაციები ტექნიკური საშუალებების ეფექტიან გამოყენებას მიუსადაგეს და მექანიზატორები დაინტერესებულად ირჯებიან, სეზონის დამდეგიდან თითოეულმა მობილურმა მანქანამ საშუალოდ 52,5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, რაც შესაბამის საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელზე 15 ტონით მეტია.

განსაკუთრებით რა არის მნიშვნელოვანი ალოობის მოწინავეთა საქმიანობაში? მასში შეიმჩნევა მოსავლის აღების კომპლექსის ყველა რგოლის ღრმად გააზრებული ურთიერთმოქმედება, ვითარების, ამინდის მოსალოდნელი ცვალებადობის გათვალისწინება. თუ, მაგალითად, ხანგრძლივი გვალვები ჩაის ბუჩქის ვეგეტაციას აფერხებს, რა თქმა უნდა, დანაკარგებს თავიდან აგვაცილებს სარწყავი სისტემის ეფექტიანი გამოყენება, რადგან რწყვის მეოხებით დამატებით 30 პროცენტი მოსავლის მიღება შეიძლება, მით უმეტეს — სასტიკი გვალვის პირობებში. ამ გარემოებას, ალოობის თავისებურებებს ყველგან როდი უწევენ ანგარიშს, რის გამოც მოსავლის დიდი დანაკარგები აქვთ. არადა, წლევანდელი ძნელი ალოობა ჩვენგან მოითხოვს განსაკუთრებით გაუფრთხილდეთ თითოეულ მარცვალს, ყოველ კილოგრამ ჭირნახულს. ამგვარი განწყობილება უნდა შევქმნათ ყველა საშუალებით.

რედაქციაში მოდის ცნობები იმის თაობაზე, რომ ბევრგან აგრომრეწვი მკაცრად მოითხოვს: არც ერთი გრამი მარცვლეულის, ნამჯის, ჩაის ფოთლისა და ხილის დანაკარგები. ავიღოთ დავაბინაოთ და გადავამუშაოთ უკლებლივ ყველაფერი, რაც მოწეულია მინდვრებში, ბაღ-ვენახებსა და პლანტაციებში. ამასთან შემაშფოთებელი სიგნალებიც საკმაოდ არის სარედაქციო ფოსტაში. იმის გამო, რომ გონივრულად არ არის განაწილებული და გამოყენებული ადამიანები, ტექნიკა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, დიდძალი პროდუქცია მინდვრად რჩება. ამ მიზეზით წლეულს ცოტა ბოსტნეული როდი გააფუჭეს მარნეულის რაიონის არაფლოსა და სადახლოს საბჭოთა მეურნეობებში. მოურწყველობით სიმინდის ნათესები ხმება ყვარლის რაიონის ქინძმარაულის საბჭოთა მეურნეობაში.

გულარხეინებს, სახალხო დოვლათის გამნიავებლებს უმკაცრესად უნდა მოეკითხოთ, თანაც საჯაროდ, ყველას თვალწინ, რათა ნიადაგი გამოეცალოს ფსიქოლოგიას — ჩემი ხომ არ არის და, რა მენაღვლებაო. მომჭირნეთა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს პროდუქციის ხარისხი, რადგან იგი პარტიას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, წარმოების ორგანიზაციის დონის, კულტურისა და დისციპლინის ყველაზე ობიექტურ და განმაზოგადებელ მაჩვენებლად მიაჩნია. ხარისხის გაუმჯობესებას სოფლის მეურნეობისათვის დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრგან ხარისხის გაუმჯობესებას ყურადღება აკლია. ეს, უწინარესად, ეხება ბოლნისის რაიონის ქვეშის საბჭოთა მეურნეობას, სადაც 313 ტონა უხარისხო სილოსი შეინახეს ზამთრისათვის. ეტყობა, აქ ავიწყდებათ, რომ ყუათიანი საკვების საიმედოდ შენახვა მის წარმოებაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი ამოცანა არ არის.

ამგვარი უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლისა და უშუალოდ ამ საქმეში ბრალეულების მიმართ მომკითხველობის გაძლიერების მიზნით ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მართებთ ყოველმხრივ შეუწყონ ხელი წარმოების ბატონ-პატრონებს, წაახალისონ სახალხო დოვლათის დაცვა-გამრავლებისათვის მათ მიერ გაწეული შრომა და ზრუნვა. ეს უნდა ჰქონდეს დასახული მიზნად სოციალისტურ შეჯიბრებას. შრომითმა მეტოქეობამ ხელი უნდა შეუწყოს დისციპლინისა და წესრიგის ყოველმხრივ განმტკიცებას, თითოეული კოლექტივის მიზანდასახულ მეცადინეობით უკეთესი საბოლოო შედეგის მიღწევას, რადგან მოწეული მოსავლის უკლებლივ და დროულად დაბინავებას შევძლებთ მხოლოდ დაძაბული და ნაყოფიერი გარჯით.

ძნელ ალოობაში წარმატების იმედი მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვიქონიოთ, თუ ჭირნახულის დაბინავების კონვეიერს შეუფერხებლად ვამუშავებთ. უმცირეს შეფერხებასა და დაუდევრობას შეიძლება დიდი დანაკარგები და სახელმწიფო დავალების ჩაშლა მოჰყვეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ახალგაზრდობის პრობლემები ერთად უნდა გადავწყვიტოთ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება მარნეულის საქალაქო და ცაგერის რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის გადიდების შესახებ“.

აღინიშნა, რომ პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად ადგილობრივი პარტიული ორგანოები ახლა მეტ ყურადღებას უთმობენ კომკავშირული ორგანიზაციების ორგანიზაციულ-პოლიტიკურ განმტკიცებას, ამასთან მათ მეცადინეობას ახმარენ ახალგაზრდობის შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის შემდგომ გაძლიერებას, სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანათა გადაწყვეტაში კონკრეტულ მონაწილეობას. მაგალითად, მარნეულის კომკავშირულ ორგანიზაციაში ბოლო ორი წლის მანძილზე სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებში ალკკ წევრთა რიცხვი საშუალოდ 8 პროცენტით გაიზარდა. აქ უფრო გააზრებულად ეწევიან ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდას, რაც, კერძოდ, აისახება ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მეზობელი რაიონების კომკავშირულ ორგანიზაციებთან კონტაქტების გაფართოებით. ცაგერის რაიონის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მეცადინეობა ხელს უწყობს სოფლის მეურნეობაში ძირითადი საგეგმო მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულებას. შესამჩნევი ძვრები აღინიშნება აქ ახალგაზრდობის ესთეტიკური და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის დაყენებაში.

ამავე დროს პარტიის მარნეულის საქალაქო და ცაგერის რაიონული კომიტეტები კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების ორგანიზაციაში იჩენენ ერთგვარ ზერელობას და ნაკლებად მოჰკითხავენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. ახალგაზრდობასთან მუშაობის გაძლიერების ღონისძიებანი არ აისახება შრომითი კოლექტივების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებში, არ ვლინდება აქ კომკავშირის კომიტეტების ინიციატივა. ჯეროვნად არ სრულდება მითითებანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის მოძრაობაში, შრომის ორგანიზაციის ბრიგადულ ფორმებში ახალგაზრდობის ჩაბმის თაობაზე. სუსტად წარმოებს მუშაობა ახალგაზრდა სპეციალისტებთან. ცაგერის რაიონის ახალგაზრდებს შორის არ არის არც ერთი რაციონალიზატორი ან გამომგონებელი. ქალაქ მარნეულის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები არ ახორციელებენ სპეციალისტების, მასობრივ პროფესიათა მუშების მომზადების სათანადო ღონისძიებებს. მარნეულისა და ცაგერის პარტიულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არ შემუშავებულა ახალგაზრდობის, უმაღლესი სასწავლებლების, პროფტექნიკური სასწავლებლების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულების სახალხო მეურნეობის საწარმოებში დამკვიდრების მოფიქრებული, მიზანმიმართული სისტემა.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები საკმარისად არ ზრუნავენ ახალგაზრდობის აღზრდაში კომუნისტების როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის. მარნეულში ყოველი მესამე სამეურნეო ხელმძღვანელი არ მონაწილეობს კომკავშირულ კრებებში, კომკავშირის ცაგერის რაიკომის პლენუმების მუშაობაში იშვიათად მონაწილეობენ პარტიის რაიკომის ბიუროს წევრები. ყოველთვის ღრმად არ სწავლობენ და წყვეტენ ახალგაზრდობის საკითხებს ადგილობრივი საბჭოთა ორგანოებიც, უმნიშვნელოა ახალგაზრდა დეპუტატების როლი, დასახვეწია მუშაობა საცხოვრებელ ადგილას.

ჯერ კიდევ ხშირია ფორმალიზმის ფაქტები ახალგაზრდობის კომკავშირული პოლიტსწავლებისა და ეკონომიკური განათლების ორგანიზაციაში. ხარვეზებია კომკავშირულ კადრებთან და აქტივთან მუშაობაში. ქალიშვილებისა და ჭაბუკების აღზრდაში საკმარისად არ არიან ჩაბმული ახალგაზრდა კომუნისტები მარნეულის საქალაქო ორგანიზაციაში. აქ კომკავშირული ორგანიზაციების მდივანთა შორის მხოლოდ ყოველი მესამე არის სკკპ წევრი ან წევრობის კანდიდატი. გასაუმჯობესებელია კომკავშირული კადრების თვისებრივი შემადგენლობა ცაგერის რაიონშიც.

სათანადო დახმარება არ ეწევათ კომკავშირულ ორგანიზაციებს მუშაობის სტილის გაუმჯობესებაში. კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებსა და ბიუროების სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებანი ხშირად ზერელეა. განუხორციელებელი რჩება კრებებზე კომკავშირლების მიერ გამოთქმული შენიშვნების ნახევარზე მეტი, შენელდა ყურადღება ძირეული კომკავშირული რგოლების საქმიანობისადმი. პარტიული კომიტეტები საკმარისად არ აპყრობენ კომკავშირული ორგანოების ყურადღებას სკოლის კომკავშირის საქმიანობას, მნიშვნელოვან გააქტიურებას მოითხოვს პიონერული ორგანიზაციების მუშაობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიღებულ დადგენილებაში არასაკმარისად მიიჩნია მუშაობა, რომელსაც მარნეულის საქალაქო და ცაგერის რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში ეწევიან „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის გადიდების შესახებაც“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის.

პარტიის მარნეულის საქალაქო და ცაგერის რაიონულ კომიტეტებს დაევალათ აღმოფხვრან კომკავშირისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაში აღნიშნული ნაკლოვანებანი, მიანიჭონ ამ მუშაობას სისტემური და კონკრეტული ხასიათი, გააძლიერონ ახალგაზრდობის პრობლემებზე საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია. მათ ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი ახალგაზრდობის დარაზმვას სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა, 1986 წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. მათ უნდა გააძლიერონ მომთხოვნელობა ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკებისადმი ახალგაზრდობასთან მუშაობის მდგომარეობისათვის, პრინციპულად მოჰკითხონ იმათ, ვინც ჯეროვან ყურადღებას და ზრუნვას არ იჩენს კომკავშირელების, ქალიშვილებისა და ჭაბუკების საჭიროებებისადმი, მოთხოვნილებებისადმი.

პარტიის მარნეულის საქალაქო კომიტეტს დაევალა მიმდინარე წლის დამლევამდე შეიმუშაოს და განიხილოს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ახალგაზრდობის ჩაბმის, ეკონომიკური განვითარების, ქალაქში დიდი სამრეწველო საწარმოების მშენებლობის პერსპექტივების გათვალისწინებით მასობრივი პროფესიების ახალგაზრდა სპეციალისტებისა და მუშების მომზადების კონკრეტული პროგრამები, ხოლო პარტიის ცაგერის რაიკომს — სოფლად ქალიშვილებისა და ჭაბუკების მიზიდვისა და დამკვიდრების კონკრეტული პროგრამა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უნდა გააძლიერონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის XIX პლენუმის მიერ დამტკიცებულ ღონისძიებათა რეალიზაციისათვის რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მუშაობის კოორდინაცია.

ბევრი რამ უნდა გააკეთოს საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, რათა ქმედითი დახმარება გაუწიოს კომკავშირის მარნეულის საქალაქო და ცაგერის რაიონულ კომიტეტებს აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში. მომავალი საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს უნდა მიაღწიონ მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდისათვის კომკავშირის კომიტეტების პასუხისმგებლობის გადიდებას, ხელი შეუწყონ აქტუალური სამეურნეო, სოციალურ-კულტურული ამოცანების გადაწყვეტაში კომკავშირელებისა და ახალგაზრდების აქტიურ ჩაბმას.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს დაევალათ კრიტიკულად გაანალიზონ პარტიული ორგანიზაციების მუშაობა კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა და სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. ძალზე საჭიროა, ხაზგასმულია დადგენილებაში, გაიზარდოს ახალგაზრდობის როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების გზით, წარმოების ინტენსიფიკაციაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის გაძლიერებაში, უფრო აქტიურად გამოიყენონ სოციალისტური შეჯიბრების მასტიმულირებელი ბერკეტები, შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმები, განავითარონ ქალიშვილებისა და ჭაბუკების მონაწილეობა წარმოების მართვაში, შრომითი კოლექტივების ცხოვრებაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდებს შორის ბრძოლის განმტკიცებაში, უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლაში კომკავშირული ორგანიზაციების როლის გადიდებას, მიაღწიონ, რომ კომკავშირულ ორგანიზაციებს მეთაურობდნენ ახალგაზრდა კომუნისტები, ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც გამოირჩევიან პოლიტიკური სიმწიფით, გერგილიანობით, ახლის გრძნობით.

ადგილობრივი პარტიული კომიტეტები აქტიურად უნდა აბამდნენ ახალგაზრდობასთან იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში პარტიის იდეოლოგიური კადრების საუკეთესო ძალებს, კომკავშირის კომიტეტებს მიზნად უსახავდნენ იმას, რომ ყოველი კოლექტივის ცხოვრებას ჰქონდეს მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური ხასიათი, აღსავსე იყოს დიდი საზოგადოებრივი შინაარსით, მთელ ამ მუშაობას წარმართავდნენ ინდივიდუალური, დიფერენცირებული მიდგომის საფუძველზე. სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად მათ უნდა განახორციელონ შრომაში ახალგაზრდობის ჩაბმის, ქალიშვილებისა და ჭაბუკების გონივრული მოთხოვნილებების ჩამოყალიბების, საზოგადოების წინაშე მოვალეობის გრძნობის ჩანერგვის რადიკალური ღონისძიებანი. კომკავშირელებთან და ახალგაზრდობასთან მუშაობის მდგომარეობისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველ მდივნებს.

დადგენილებაში კონკრეტულად არის განსაზღვრული კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის გადიდების სხვა ღონისძიებანიც.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

გზა დავუხშოთ უყაირათობას

დღემდე არ დაწყებულა ზამთრისათვის სათანადო მზადება ცხინვალში. სამ წელზე მეტია, გრძელდება აქ ცენტრალური საქვაბის მშენებლობა, თბომეურნეობის სარემონტო-საექსპლოატაციო კანტორები აღჭურვილი არ არიან საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებით, პროფილაქტიკური მუშაობა საცხოვრებელი სახლების გასათბობ სისტემებში თვითდინებაზეა მიშვებული, „საქმთავარენერგოს“ საქართველოს ენერგოზედამხედველობის მიერ მოწყობილი რეიდის დროს აღმოჩენილი ეს ფაქტები მოიყვანეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გამართულ თათბირზე, რომელმაც განიხილა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და საბინაო-კომუნალური სექტორის სათბობით, ელექტრო და სითბური ენერგიით უზრუნველყოფა, თათბირმა მოსთხოვა ცხინვალის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს ჯეროვანი წესრიგი დაამყაროს ამ მნიშვნელოვან საქმეში.

თათბირზე გამოვიდნენ საქმთავარენერგოს, ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის, გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის, საბმომარაგების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობის, საქაგრომრეწვის, საქტრანსგაზისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც აუწყეს დამსწრეთ, თუ რა ღონისძიებები ხორციელდება სითბური და ენერგეტიკული რესურსების უყაირათო ხარჯვის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

აღინიშნა, რომ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ რესურსების დაზოგვისათვის, მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის ნორმების შემცირებისათვის მუშაობას.

მარტო უყაირათობისა და მფლანგველობის გამო რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციების თითქმის მეოთხედი ვერ ასრულებს ელექტროენერგიისა და სათბობი რესურსების ეკონომიის დავალებებს.

ვიბრძოდეთ ეკონომიისათვის — ნიშნავს კარგად ვხედავდეთ რეზერვებს. ეს რეზერვები ბევრი გვაქვს, მაგრამ მათი ამოქმედება ყოვნდება. მაგალითად, ამბროლაურის, ონის, თიანეთისა და სხვა რაიონებში, თბილისის „ელმავალმშენებლისა“ და ტყავის საწარმოო გაერთიანებებში, რუსთავის „აზოტში“, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ხშირად უქმად მუშაობენ აგრეგატები, ქმედით კონტროლს არ უწევენ ყოველი გრამი საწვავის, ყოველი კილოვატსაათი ენერგიის მომჭირნედ გამოყენებას, ბენზინს ინახავენ რეზერვუარებში, რომლებიც სათანადოდ არ არის აღჭურვილი, და ა. შ. თათბირის მონაწილეებმა მკაცრად და პრინციპულად შეაფასეს ეს ფაქტები, მოითხოვეს, რომ ხელმძღვანელებმა უახლოეს დროში აღმოფხვრან ნაკლოვანებანი.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. ვადაჭკორიამ.

(საქინფორმი).

გაიმართა თათბირი

3 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებმა მოაწყვეს თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრებისა და სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეების მოადგილეები, რომლებიც განაგებენ მშრომელთა ეკონომიკური განათლების საკითხებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პოლიტიკური განათლების სრულიად საკავშირო სახლის, დარგობრივ პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების, საზოგადოება „ცოდნის“ პასუხისმგებელი მუშაკები.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ პ. ი. სლეზკომ.

თათბირზე განიხილეს სამინისტროებისა და უწყებების, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოების ამოცანები „1986-1987 სასწავლო წელს მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ორგანიზაციის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის, იმსჯელეს პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის დოკუმენტებისა და მასალების საფუძვლიანად შესწავლის უზრუნველყოფის საკითხებზე, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით წარმოების ინტენსიფიკაციის, პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემის გარდაქმნისათვის მზადების პრობლემებზე. (საქტასი).

ნორიაკი ტამურა:

დაძაბულობის შენელება შესაძლებელია

„ამჟამად ნარჩენი სხივური დაავადება ჯერ კიდევ ემუქრება იმ ადამიანთა სიცოცხლეს, ვინც დაშავდა ატომური ბომბის აფეთქებით, და მისი შედეგები დღემდე განუზომელია“, — ნათქვამია ჰიროსიმის მემორიალური მუზეუმის მიერ გამოშვებულ ბროშურაში. ეს გამოცემა საქართველოში ჩამოიტანა იაპონიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის კონგრესის დელეგაციამ, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

— ჩვენ, ჰიროსიმისა და ნაგასაკის ხანგრძლივი ტრაგედიის მოწმენი, გვერდს ვერ ავუვლით მშვიდობისათვის კაცობრიობის მთელი პროგრესული ძალების ბრძოლას, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს კონგრესის პრეზიდენტმა ნორიაკი ტამურამ, რომელიც დელეგაციას მეთაურობს, — მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირები ისწრაფვიან აქტიურად აღუდგნენ წინ ბირთვული არსენალების გადიდებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიხეილ გორბაჩოვის ამასწინანდელი განცხადება გამოქვეყნდა იაპონიის ყველა პერიოდულ გამოცემაში, გადაიცა რადიოთი და ტელეარხებით. მასში ჩამოყალიბებულ სამშვიდობო ინიციატივებს ფართოდ უჭერენ მხარს ჩვენი ქვეყნის მშრომელები. დარწმუნებული ვართ, არც ერთ საღად მოაზროვნე ადამიანს არ სურს ბირთვული კატასტროფა, ამიტომ ვერ ვხედავ მიზეზებს, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ დაძაბულობის შენელებას. ახლა სიტყვა რეიგანის ადმინისტრაციაზეა, რომელმაც ყურად უნდა იღოს გონიერების ხმა.

ბალახი მთიბავს ელოდება

მხარი ვუსწოროთ მოწინავეებს

ჩოხატაურის რაიონის ბევრ მეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს საკვების შეგროვება. ეს იქიდანაც ჩანს, რომ რაიონში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 500-500 ტონით მეტი თივა და სილოსია დამზადებული.

საკვების დამზადებაში აქტიურობენ სოფელ ხიდისთავის სტალინის სახელობისა და ჩაისუბნის კოლმეურნეობებში. აქაურმა საკვებმომპოვებლებმა უკვე გადაჭარბებით შეასრულეს თივის დამზადების წლიური დავალება. ახლა აქ ფურაჟის დამზადების ცხარე დღეებია, ქუდზე კაცი გამოდის, რომ ზამთრისათვის პირუტყვს მოუმზადონ რაც შეიძლება მეტი ყუათიანი საკვები.

საკვებს შემჭიდროებულ ვადებში ამზადებენ ვანის კოლმეურნეობის მშრომელები. დაწინაურდნენ აგრეთვე განახლების, გორაბერეჟოულისა და ქვემო ერკეთის კოლმეურნეობათა საკვებდამამზადებლები.

რაიონის პირუტყვს ზამთრისათვის უფრო მეტი საკვები იქნებოდა, ამ საქმეს გულით რომ ეკიდებოდნენ ჩოხატაურელი კოლმეურნეები. აქ საგეგმო 290 ტონა სილოსიდან შემოწმების დღისათვის არც ერთი ტონა არ ჰქონდათ დამზადებული, არც თივის შეგროვება დაუწყიათ, ბალახი კი გადამწიფებულია სავარგულებში. ამისათვის ამთავითვე უნდა მოეკითხოთ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს დ. დოლიძეს და ფერმის გამგეს რ. ცინცაძეს.

თივის და სილოსის დამზადების სამუშაოები მეტისმეტად ჩამორჩება ფარცხმისა და გოგოლესუბნის კოლმეურნეობებში (თავმჯდომარეები — გ. ცინცაძე, გ. სიხარულიძე; ფერმის გამგეები — შ. სანიკიძე, შ. გოგოლაძე).

სოფელ კოხნარის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე — ვ. დოლიძე) საუკეთესო სავარგულები აქვს მდინარე რიონის სანაპიროზე, მაგრამ ხეირიანად ვერ იყენებს. ეს ნაყოფიერი მიწა ჰექტრობით ვანის რაიონიდან ჩამოსულ დაქირავებულ პირებს გადასცეს საზამთროს მოსაყვანად. აქ ვანის რაიონის მკვიდრნი გივი ჯოგლიძე, ზურაბ ლორთქიფანიძე, ამირან ცხვარაძე, მურმან კაშია პარპაშობენ, სარფიან საქმეზე ხელს ითბობენ. კოხნარელთა პირუტყვს კი ზამთარში საკვები რომ შემოაკლდება, ეს არავის ადარდებს.

კოხნარის კოლმეურნეობა გამონაკლისი არ არის. რაიონის სხვა კოლმეურნეობებსაც აქვთ გაცემული საზამთროს მოსაყვანად რიონისპირა ნოყიერი მიწები ამ საქმისათვის ვანიდან საგანგებოდ ჩამოსულ პირებზე.

ამ საეჭვო ფაქტს მეტი სერიოზულობით უნდა მოეკიდნენ რაიონის ხელმძღვანელები. ისიც გასარკვევია, თუ ვის რა ხელს აძლევს საზოვრისთვის დაქირავებული პირების ჩამოსვლა.

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

ბოსტნეული — გეგმის გადამეტებით

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ზესტაფონის რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსში წლეულს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ბოსტნეულის წარმოების გადიდებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ამ პროდუქციის მოყვანას ასორტიმენტის მიხედვით. ამის შედეგია ის, რომ შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბოსტნეულით რაიონის მოსახლეობის მომარაგება. იგი დამზადებულია საგეგმოზე 200 ტონით მეტი. წლის ბოლომდე დამატებით კიდევ 200 ტონა მაღალხარისხოვან ბოსტნეულს მიიღებენ ზესტაფონელი მშრომელები.

სულ ახლახან რაიონის კოლმეურნეობებში 16 ჰექტარზე დათესეს საშემოდგომო ბოსტნეული, რომელიც შესაძლებლობას შექმნის ზამთარში მოსახლეობა მომარაგდეს ადგილობრივი წარმოების მაღალხარისხოვანი მწვანილით.

ბოსტნეულის და ბაღჩეულის წარმოების საქმეში თავი გამოიჩინეს მეორე სვირის ლენინის სახელობის, ქვედა საზანოს რუსთაველის სახელობის, ფუთის, ცხრაწყაროს და ტაბაკინის კოლმეურნეობებმა, არგვეთისა და სვირის მეურნეობებმა.

გაშვებულია თანამგზავრები

1986 წლის 3 სექტემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრები „კოსმოს-1775“ და „კოსმოს-1776“. თანამგზავრებზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რომელიც განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საქტასი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სამგზავრო გემის „ადმირალ ნახიმოვის“ ავარიის დროს ხალხის ტრაგიკულ დაღუპვასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა სამძიმარს უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებს, ნათესავებსა და ახლობლებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სად არის უცვეთელობის ეფექტი?

ბაზალტის „პროფესიები"

სახალხო მეურნეობაში ლითონის ხარჯის შემცირებას და სხვა მასალებით მის შეცვლას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

განსაკუთრებით ბევრ ლითონს მოითხოვენ ის დანადგარები და კონსტრუქციები, რომელთა ტექნოლოგიური პროცესები მკვეთრად ამცირებენ დეტალების ექსპლოატაციის ხანგრძლივობას. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, სხვადასხვა სახეობის ბუნკერები, ღარები და მილსადენები, რომლებიც მყარ მასალას ითავსებენ და ატარებენ. ან ჰიდროტრანსპორტს ემსახურებიან. ლითონის ინტენსიური ცვეთის გამო ეს კონსტრუქციები მალე გამოდიან მწყობრიდან და მათ შეცვლა სჭირდებათ. მსგავს არასასურველ შედეგებთან გვაქვს საქმე მთელ რიგ ქიმიურ და ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოებში, სადაც ლითონის დეტალების ცვეთას ხელს უწყობს სხვადასხვა შენაერთის, ან მაღალი ტემპერატურის ზემოქმედება, კოროზია და სხვა.

ლითონის ეკონომიისათვის ბრძოლა მისი ეფექტიანი შემცვლელების ფართო დანერგვას ითვალისწინებს. ასეთ შემცვლელს კი ქვისა და, კერძოდ, ბაზალტის სხმული წარმოადგენს. ქვა მუდამ პოულობდა ფართო გამოყენებას ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ მისთვის სასურველი ფორმის მიცემა ძნელი იყო მექანიკური დამუშავებით. უკანასკნელ ხანებში ეს პრობლემა წარმატებით წყდება მთის ქანების სასურველ ფორმებში გადნობითა და დაყალიბებით. ამ გზით იღებენ რთული კონფიგურაციის ქვის ნაკეთობებს და დეტალებს, რომლებსაც მშენებლობაში, მეტალურგიაში, ქიმიურ მრეწველობაში, მანქანათმშენებლობაში და სხვა დარგებში იყენებენ.

როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთის პრაქტიკაში შეძენილმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ ბაზალტის სხმული საუკეთესო თვისებებს ამჟღავნებს. მისი მთავარი უპირატესობა ის არის, რომ იგი ეწინააღმდეგება აბრაზიულ ცვეთას. გარდა ამისა, სხმული ბაზალტის ნაკეთობანი ხასიათდება მაღალი მდგრადობით, მჟავეებისა და ტუტეების წინააღმდეგ კარგი დიელექტრული თვისებებით.

ქვის სხმულების ექსპლოატაციის მრავალწლიანმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ სხმული ნაკეთობებით დაცული მოწყობილობის ექსპლოატაციის ვადა 10-15-ჯერ იზრდება. ერთ-ერთ მამდიდრებელ ფაბრიკაში, მაგალითად, ლითონისაგან დამზადებული მადნის კუდების გამტარი, საშუალოდ, ყოველ ხუთ თვეში მოითხოვდა შეკეთებას, ხოლო ქვის ფილებით ამოგების შემდეგ კი უკვე მეშვიდე წელია განუწყვეტლივ მუშაობს. სხმული ქვის ფილებით ამოგებული ჰიდროციკლონის მუშაობის ხანგრძლივობა 6-ჯერ აღემატება თუჯისას. კუზნეცკის მეტალურგიულ კომბინატში ფილებით ამოგებული კოქსის ბუნკერები შეუკეთებლად 10 წელზე მეტია, რაც მოქმედებს.

ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთ ქარხანაში სხმული ბაზალტით ამოგებულმა 2400 მეტრი სიგრძისა და 200 მილიმეტრი დიამეტრის ცხელი კოქსისათვის გათვალისწინებულმა პნევმატურმა მილსადენმა 15 წელი გაუძლო განუწყვეტელ ექსპლოატაციას. ბაზალტის გამოუყენებლად კი იგი მხოლოდ რამდენიმე თვეს იმუშავებდა. აღსანიშნავია, რომ ბაზალტისაგან ჩამოსხმული საფლოტაციო მანქანის ფსკერი თუჯთან შედარებით ექვსჯერ მეტ ხანს მუშაობს, ტონა დაყენებული ქვის სხმული გვიზოგავს 400-700 მანეთს და 4 ტონამდე ლითონს.

ასე რომ, წელიწადში 100 ათასი ტონა სიმძლავრის ქვის სხმულის საწარმო სახალხო მეურნეობას 55 მილიონ მანეთსა და 200 ათას ტონამდე ლითონს დაუზოგავს. სხმული ბაზალტი სხვადასხვა დანიშნულების მილებისა და სანტექნიკური ფასონური ნაწილების დასამზადებლადაც წარმატებით გამოიყენება. საგულისხმოა, რომ სხმულის დიელექტრული თვისება მისგან ელექტროიზოლატორების დამზადების საშუალებას იძლევა. მისგან მზადდება აგრეთვე მჟავაგამძლე ფლორატორები, დიფუზორები, ცხრილები კოქსის დახარისხებისათვის, წნეხები აგურისათვის, ჰიდროციკლონები, ფრიქციული დეტალები და ა. შ.

უკანასკნელ ხანს სხმულმა ბაზალტმა ახალი „პროფესია" აითვისა: მისგან იატაკის ფილები დაამზადეს. ასეთი ფილებით დაგებული იატაკი დიდხანს არ ცვდება და კარგად ეწინააღმდეგება ქიმიურ კოროზიას.

სხმული ბაზალტი სოფლის მეურნეობასა და მსუბუქ მრეწველობაშიც იხმარება. ჩეხოსლოვაკიაში მისგან პირუტყვის ვარცლებს აკეთებენ, ისინი ძალზე გამძლე და ჰიგიენურია.

განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა ბაზალტისაგან ჩამოსხმული ფილები. მინის ჩვეულებრივი ფილებისაგან განსხვავებით მათ მეტი სიმტკიცე და ელვარება აქვთ. სხვათა შორის, გამდნარი ბაზალტის ცენტრიფუგირებით ჩეხოსლოვაკიაში ე. წ. ბაზალტის ბამბასაც იღებენ. იგი ცნობილი მინერალური ბამბისაგან განსხვავებით იაფი ჯდება და გამოიყენება როგორც თბოიზოლაციის მასალა. ბაზალტის ბამბამ წარმატებით შეცვალა აგრეთვე აზბესტის ბოჭკო აზბესტცემენტის ნაკეთობათა წარმოებაში.

ჩვენი რესპუბლიკის მოთხოვნილება სხმული ბაზალტის ნაკეთობებზე წელიწადში დაახლოებით 50 ათას ტონას შეადგენს. სამისო საწარმოს მშენებლობისათვის დახარჯული სახსრების უკუგებას კი 3-5 წელიწადი დასჭირდებოდა.

ბაზალტის გადნობას სპეციალურ ღუმლებში აწარმოებენ და სხმულის მიღების ტექნოლოგია პრაქტიკულად არ განსხვავდება თუჯის ჩამოსხმისაგან. ისე როგორც თუჯის დაყალიბებისას, აქაც სათანადო ყურადღებას იმსახურებს საყალიბო ქვიშა. ბაზალტის სხმულისათვის მას უნდა ჰქონდეს საკმარისი აირგამტარობის უნარი.

ჭიათურის რაიონში, პერევისის ტბის მახლობლად, ბაზალტის დიდი საბადოა. მართალია, მისი გეოლოგიური მარაგი დაზუსტებული არ არის, მაგრამ წინასწარი ვარაუდით შეიძლება ითქვას, რომ იქ შეიძლება დიდი მწარმოებლობის კარიერის გახსნა. რაც შეეხება პერევისის ბაზალტის ვარგისიანობას სხმულების დასამზადებლად, შემოწმებამ ცხადყო, რომ მისგან მიღებული დეტალები საუკეთესო თვისებებით ხასიათდებიან. ჭიათურის რაიონში უხვად მოიპოვება საყალიბო ქვიშაც, რასაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქვის სხმულების წარმოებისათვის. ზემოხსენებულ რეგიონში ბაზალტის სხმულის დამამზადებელი ქარხნის მშენებლობას ამართლებენ ის ფაქტორებიც, რომ აქ არის ბუნებრივი გაზი და საკმაო რაოდენობის შრომითი რესურსები.

იმედია, ამ საქმით დაინტერესდებიან სათანადო ორგანიზაციები და უფრო კონკრეტულად შეისწავლიან ჭიათურის რაიონში სხმული ბაზალტის წარმოების გაშლის შესაძლებლობებს.

ამ მხრივ კარგ მაგალითს იძლევა „საქსამთოქიმმრეწვის" საწარმოო გაერთიანება, რომელიც თავის მოთხოვნილებათა ნაწილობრივი დაკმაყოფილებისათვის ბაკურიანის ანდეზიტების ბაზაზე მცირე მწარმოებლობის ქვის სხმულის ქარხანას აშენებს. ალბათ, ამ ქარხნის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების საფუძველზე უფრო გაბედული ნაბიჯები გადაიდგმება რესპუბლიკაში სხმული ქვის ნაკეთობათა დასანერგავად. ამით გარკვეულ წვლილს შევიტანთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში.

რ. ტყემალაძე,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი.

საქმემ

გამოარჩინა

მუყაითი შრომითა და გულისხმიერებით მოიხვეჭა სახელი ლია გაჩეჩილაძემ — თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის მქსოველმა. ქალიშვილი აქ შარშანწინ მოვიდა საბაზო პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ და სრულყოფილად დაეუფლა თავის პროფესიას. იგი სისტემატურად იმარჯვებს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სურათზე: ლ. გაჩეჩილაძე ესაუბრება თავის მეგობარ მქსოველს მ. ბურდულს.

ა. საკოვის ფოტო.

მოძრავი დისპლეის კლასი

როგორ მოვახერხოთ მთვარეზე რბილად დაჯდომა? როგორ მოვიგოთ ჭადრაკის პარტია? ამ და სხვა არანაკლებ საინტერესო ამოცანებს წყვეტენ დღეს მოძრავ დისპლეის კლასში კახეთის მოსწავლეები. ამის შესაძლებლობა მათ მისცა აგიტმატარებელმა „საქართველოს კომკავშირელმა".

მიმდინარე სასწავლო წლიდან საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით აგიტმატარებელი რეგულარულ რეისებს შეასრულებს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში, რათა პროპაგანდა გაუწიოს პერსონალურ ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებს და ჩაუნერგოს ახალგაზრდობას ამ მანქანებით მუშაობის ელემენტარული ჩვევები.

მოძრავი დისპლეის კლასის აღჭურვას ხელი შეუწყვეს შეფებმა — მოსკოვის სპეციალური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ალგორიტმის" სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის თბილისის ფილიალის მუშაკებმა.

საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, აგრეთვე წითელწყაროსა და მარნეულის რაიონებში მცხოვრები მოსწავლეები ხშირად ეცნობიან ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების შესაძლებლობებს. მათ სთავაზობენ სათამაშო და სასწავლო პროგრამებს, რომლებიც გათვალისწინებულია უფროსკლასელებისათვის. პედაგოგთა როლში გვევლინებიან გაერთიანება „ალგორიტმის" თანამშრომლები რონი მირიანაშვილი, რომელიც ხელმძღვანელობს გაერთიანების ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს, აგრეთვე ახალგაზრდა ინჟინრები სვეტლანა სანაკოევა, ქეთინო გაბელაია და ვანო ბალარჯიშვილი. მოსწავლეები რწმუნდებიან, რომ მანქანას შეუძლია პასუხი გასცეს ყველა კითხვას, დაეხმაროს გაანგარიშებებში, თვალსაჩინოდ და გასაგებად აუხსნას რთული მათემატიკური და ფიზიკური ამოცანები.

თუ მოსწავლეს უძნელდება მათი ამოხსნა, მანქანა მზად არის მის დასახმარებლად.

(საქინფორმი).

„კომუნისტი"
ეძიებს
რეზერვებს

ტყეები რომ პროდუქტიული იყოს...

არასწორი, დიდად ინტენსიური ექსპლოატაციის გამო რესპუბლიკის ტყეების მნიშვნელოვანმა ნაწილმა, სადაც მძლავრად განვითარებულია სარეველა მცენარეების, მარადმწვანე და ფოთოლმცვენი ქვეტყის ხშირი რაყები, დაკარგა არა მარტო წყალმარეგულირებელი, ნიადაგდაცვითი და სხვა სასარგებლო სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციები, არამედ ბუნებრივი განახლების უნარიც. გამეჩხერებულ კორომებში ადვილად სახლდებიან ტყის ენტომოლოგიური მავნებლები, ფართოდ ვრცელდება სხვადასხვა სოკოვანი დაავადება და სხვ.

ტყის რესურსების დროული და მიზანდასახული აღდგენა-განახლების უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე სიხშირის კორომების პროდუქტიულობის ზრდას, სადაც ტყის ბუნებრივი აღდგენის პროცესი თითქმის შეწყვეტილია და ხელოვნური განახლების ხელშემწყობი ღონისძიებებიც კი პრაქტიკულად შედეგს არ იძლევა.

საქართველოში ტყის აღდგენის პრობლემათა შორის ერთი მნიშვნელოვანი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებაა წიფლნარებში, რცხილნარებსა და მუხნარებში დეგრადირებული კორომების რეკონსტრუქცია, რომლის ძირითადი მიზანია მათი პროდუქტიულობისა და დაცვითი ფუნქციების გაუმჯობესება. სახელმწიფო ტყის ფონდში ასეთი კორომები დაახლოებით 500 ათასი ჰექტარია, სადაც სასაქონლო-საასორტიმენტო სტრუქტურა იმდენად დარღვეულია, რომ ხშირად იქ მოჭრილი მერქანი შეშადაც კი ძნელად გამოსაყენებელია.

დეგრადირებული კორომების პროდუქტიულობის და, რაც მთავარია, სოციალური და ეკოლოგიური ფუნქციების აღდგენა მათი რეკონსტრუქციის გარეშე თითქმის შეუძლებელია იქ, სადაც სასურველი ჯიშის კორომების ბუნებრივი აღდგენა არ ხერხდება, აუცილებელია მეცნიერულ საფუძვლებზე დამუშავებული ტექნოლოგიური სქემების მიხედვით ძვირფასი ჯიშების ხელოვნური ტყეების გაშენება. ასეთი ტყეების რეკონსტრუქცია უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს და ძირითადად კარგი შედეგებიც არის მიღებული. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ გურჯაანის, ყვარლის, ახმეტის, მცხეთის, ხაშურის, ჩხოროწყუს, გაგრის და სხვა სატყეო მეურნეობანი, სადაც მცირე სიხშირის მცირეპროდუქტიული ტყეები რეკონსტრუირებულია ისეთი ძვირფასი ჯიშებით, როგორიც არის კაკალი, წაბლი, მუხა, ფიჭვი, სოჭი, იფანი, ნეკერჩხალი, ტყემალი და სხვ. გადაბერებული, ამონაყრითი, მცირეპროდუქტიული ტყეების რეკონსტრუქციით მომავლის ტყეებს ახლა ეყრება საფუძველი. ამ პირობებში გაუგებარია იმ ზოგიერთი, საქმეში ჩაუხედავი, არაკომპეტენტური მოქალაქის მცდარი და ყოვლად მიუღებელი პოზიცია, რომელიც ტყეების დაცვის საბაბით ზემდგომ ორგანოებში გზავნის დაუსაბუთებელ წერილებს იმის თაობაზე, რომ ტყეების რეკონსტრუქცია მიზანშეწონილი არ არის. ამის მაგალითია თელავის სატყეო მეურნეობაში კაკალნაყოფიანთა სპეციალიზებული სატყეოსათვის ამონაყრითი რცხილნარების რეკონსტრუქციის სამუშაოების ირგვლივ ატეხილი უმართებულო დავა.

მიუხედავად იმისა, რომ კორომის საბურველში ტყის გაშენება პრაქტიკულად ძნელი და მეტად შრომატევადი საქმეა, იგი მომავალში კიდევ უფრო ეფექტიანი და მიზანსწრაფული უნდა გახდეს, ვინაიდან ამ პრობლემის გადაწყვეტის ძირითადი მიზანია კორომის პროდუქტიულობის გაუმჯობესება, გაჯანსაღება, არასასურველ ჯიშთა ცვლის პროცესების თავიდან აცილება და, რაც მთავარია, ტყეების დაცვითი და სხვა სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციების გაძლიერება.

ტყის რესურსების აღდგენა-განახლების რესპუბლიკის სატყეო მეცნიერებისა და პრაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა მარადმწვანე ქვეტყისა და მაღალტანოვანი ბალახეულის საფარის წინააღმდეგ ბრძოლის სრულყოფილი და ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავება. ეს, უწინარესად, ეხება დასავლეთ საქართველოს ტყეებს, სადაც ჭარბტენიან პირობებში მცირე, ხოლო ზოგ შემთხვევაში საშუალო სიხშირის კორომებშიც კი იქმნება ოპტიმალური პირობები მარადმწვანე ქვეტყის ძლიერი განვითარებისათვის. ამგვარ კორომებში ტყის ბუნებრივი განახლება მთლიანად შეწყვეტილია, რამაც რეალური საფრთხე შეუქმნა ამ ტყეების არსებობას. ამ პირობებში ტყის ხელოვნური აღდგენის პრობლემა იმითაც რთულდება, რომ ქვეტყის მოსასპობად ჯერჯერობით თითქმის მთლიანად გამორიცხულია მექანიზაციის გამოყენება, ხოლო ამ უაღრესად რთული და შრომატევადი სამუშაოს ხელით შესრულება პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელია. ამიტომ მეცნიერებმა და სატყეო-სამეურნეო წარმოების მუშაკებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მარადმწვანე ქვეტყისაგან სატყეო-საკულტურო ფართობების გაწმენდის ეფექტიანი, რადიკალური მეთოდებისა და საშუალებების შემუშავებას, გაწმენდილ ფართობებზე ტყის კულტურების გაშენების რაციონალური ტექნოლოგიის შექმნას კორომის აღნაგობის და ჯიშობრივი შემადგენლობის, ტყის მთავარი ჯიშების ბუნებრივი განახლების ხარისხის და ხასიათის, მარადმწვანე თუ ფოთლოვანი ქვეტყისა და სარეველა ბალახეულის გავრცელების სიძლიერის, ტყის ზრდის გარემო პირობების ტიპების გათვალისწინების საფუძველზე. ამასთან ტყე-მცენარეულობის გავრცელების ვერტიკალური ზონების ფარგლებში ტყის ზრდის გარემო პირობების ტიპების მიხედვით უნდა დამუშავდეს ტყის ბუნებრივი და ხელოვნური აღდგენის ოპტიმალური ურთიერთშეფარდების ნორმატივები.

ახალი, დიდპროდუქტიული ტყეების ხელოვნური გაშენების თავიდათავი, უწინარესად, საუკეთესო მემკვიდრეობითი თვისებების თესლის მიღებაა. ამდენად, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სელექციურ-გენეტიკურ საფუძვლებზე მუდმივი სატყეო სათესლე ბაზების შექმნას, რაც საბოლოოდ ახლად გაშენებული ტყეების პროდუქტიულობას 10-20 პროცენტით გაზრდის.

ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ზოგიერთ საკურორტო ტყეებში (აბასთუმანი, ბორჯომი, შოვი) კარგა ხანია შეიმჩნევა ჯიშთა არასასურველი ბუნებრივი ცვლა. კერძოდ, საუკეთესო ფიჭვნარში მრავლად არის წამოსული ნაძვი, რომელმაც ბევრგან უკვე შეცვალა ფიჭვნარი კორომები. ამიტომ თუ აქ ჯიშთა ცვლის რეგულირების თვალსაზრისით მიზანმიმართული ღონისძიებანი არ განხორციელდა, მომავალში ფიჭვნარი კორომები ნაძვნარებით შეიცვლება, რაც აღნიშნული მასივების საკურორტო ღირსებას ძლიერ დააქვეითებს.

აღნიშნული პრობლემების დროული და დადებითი გადაჭრა ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკის ტყეების საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მათი პროდუქტიულობის ზრდას. ამ საქმეს მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ, ვინაიდან ბუნებრივი რესურსების აქტიური, გონივრული გამოყენება ბუნებით სარგებლობის პერიოდს გაგვიხანგრძლივებს.

თ. ჯაფარიძე,
ვ. ზ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის ტყის მეურნეობის ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

რ. ჩაგელიშვილი,
ტყის ჰიდროლოგიის ლაბორატორიის გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი.

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ ● „კომუნისტს" უპასუხებენ

დამნაშავენი დაისაჯნენ

გაზეთ „კომუნისტში" 12 ივნისს დაბეჭდილი სტატია „ისმოდა სროლა, ისმოდა ღვინოც" ეხებოდა მოსწავლეთა XXXIV რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე და „იმედის სტარტების" ფინალურ შეჯიბრებებზე დაშვებული დარღვევებისა და ქალაქ სოხუმში მსროლელთა ასპარეზობის დროს მომხდარ ლოთობის ფაქტს.

ამის თაობაზე მიღებული ღონისძიებების შესახებ რედაქციას აცნობეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ სპორტსაკომმა, საქართველოს კომპარტიის სოხუმის რაიონულმა, პარტიის ახმეტის რაიონულმა და ჭიათურის საქალაქო კომიტეტებმა, ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებამ — შვიდივე ამ ინსტანციამ გაზეთის კრიტიკა სამართლიანად ცნო და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი ზომები მიიღო.

განათლების სამინისტრო გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. სამინისტროს კოლეგიამ იმსჯელა და ტყვიის სროლაში, ფეხბურთში და „იმედის სტარტებში" მოსწავლეთა XXXIV რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებზე დაშვებული დარღვევებისათვის, ნაკრები გუნდებისადმი სუსტი კონტროლისათვის აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებათა გამგეებს ვ. ავიძბას და ო. ბოლქვაძეს გამოეცხადათ საყვედური. აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს დაევალა განიხილოს ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტსკოლის ხელმძღვანელობის პირადი პასუხისმგებლობისა და მწვრთნელის ს. წულუკიძის სკოლაში მუშაობის მიზანშეწონილობის საკითხი. ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური რესპუბლიკური სპორტსკოლის ინსტრუქტორ-მეთოდისტი ტყვიის სროლაში ი. ქუსიკაშვილი განთავისუფლდა თანამდებობიდან, ხოლო ამავე სკოლის მწვრთნელ-ინსტრუქტორს ა. დავიდოვს გამოეცხადა საყვედური. ამავე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ი. ტუღუშს გამოეცხადა საყვედური. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს მიერ გაწეული მუშაობა მოსწავლეთა XXXIV სპარტაკიადასთან დაკავშირებით კოლეგიამ არადამაკმაყოფილებლად შეაფასა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გვატყობინებს, რომ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მწვავედ, პრინციპულად იმსჯელა მოსწავლეთა 34-ე რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე გამოვლენილ ნაკლოვანებათა შესახებ. ფინალური შეჯიბრებების ჩატარებისადმი კონტროლისა და ხელმძღვანელობის შესუსტების გამო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპორტისა და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის განყოფილებას, კომკავშირის თბილისისა და გაგრის საქალაქო, სოხუმის რაიონულ კომიტეტებს მკაცრად მიეთითათ. გარდა ამისა დაისახა რიგი ღონისძიებები.

საქართველოს სსრ სპორტსაკომის კოლეგიამ ამ საკითხთან დაკავშირებით მიიღო სპეციალური დადგენილება. სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელობას (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — ნ. გვახარია) დაევალა შეისწავლოს სოხუმის სასროლეთის ბაზის დირექტორის ი. სანგულიას პასუხისმგებლობის საკითხი, ამ ბაზაზე მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის მთავარ მწვრთნელს ტყვიის სროლაში გ. ზოსტოლანაშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, სპორტკომიტეტის ტყვიის სროლის განყოფილების უფროსს თ. ლეკიშვილს — სასტიკი საყვედური.

საქართველოს კომპარტიის სოხუმის რაიკომმა შეგვატყობინა, რომ სოხუმის რაიონის „დინამოს" სასროლეთის ადმინისტრაცია ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს ბაზის საერთო საცხოვრებელში წესრიგს, ტექნიკური პერსონალის შრომის დისციპლინა სუსტია და სხვა. „დინამოს" ბაზის დირექტორს, სკკპ წევრს ი. სანგულიას გამოეცხადა სასტიკი საყვედური. პარტიის რაიკომის ბიუროს დადგენილების თაობაზე ინფორმაცია დაიბეჭდა რაიონული გაზეთის „კომუნისტური შრომის" ფურცლებზე.

საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტი გვატყობინებს, რომ საქალაქო კომიტეტთან არსებულმა იდეოლოგიურმა კომისიამ განიხილა გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული სტატია „ისმოდა სროლა, ისმოდა ღვინოც" და ქალაქის განათლების განყოფილების გამგეს და ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორს მისცა შენიშვნა იმის გამო, რომ საქალაქო კომიტეტს წინასწარ არ აცნობეს სასპარტაკიადო ღონისძიებებისათვის მზადების შესახებ.

ქუთაისის განათლების განყოფილების პასუხში ნათქვამია: „თქვენს გაზეთში მოთავსებულ სტატიაში აღნიშნული ფაქტი ქუთაისელი მწვრთნელების დინგაშვილის, ესაძის და ცინაძის შესახებ სწორია. აღნიშნულ საკითხზე ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებამ იმსჯელა და დინგაშვილი, ესაძე და ცინაძე განთავისუფლდნენ თანამდებობიდან. იმისათვის, რომ ჯეროვნად არ მუშაობდნენ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად და სათანადო დონეზე არ ჰქონდათ დაყენებული პედაგოგიურ კოლექტივში სიფხიზლისათვის ბრძოლა, კომპლექსური სპორტსკოლის დირექტორს დ. მეფისაშვილს, დირექტორის მოადგილეს ი. ახვლედიანს და მეთოდისტ თ. ქიმუცაძეს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური. განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დარგში ს. კაზიევს საკურატორო დარგის არასათანადო კონტროლისათვის გამოეცხადა საყვედური.

საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის ბიურომ არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა სპორტსმენთა და მწვრთნელთა შორის გაწეული მუშაობა მათი იდეურ-პოლიტიკური წრთობისა და მტკიცე დისციპლინის დამკვიდრებისათვის, ასევე მოსწავლეთა 34-ე რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ძიუდოისტთა შეჯიბრების რაიონში ჩატარების შესახებ პარტიის რაიონული კომიტეტის არაოპერატიული ინფორმირებისათვის, ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელის მიერ შეჯიბრების ფინალიდან გუნდის თვითნებურად მოხსნისათვის განათლების განყოფილების გამგეს ზ. წითელაურს, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორს აკ. ნონიაშვილს და ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს გ. ჰილტაშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

„კომუნისტის" საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა

ვ. ი. ლენინი და ქართველი ინტელიგენცია

ვ. ი. ლენინი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა საქართველოსა და კავკასიისადმი, მან თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის პირველსავე წლებში მოჰკიდა ხელი ამ მხარის კულტურულ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების შესწავლას, წამოაყენა და დაასაბუთა არაერთი მეცნიერულად ღირებული დებულება საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობისა და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების შესახებ.

შემდეგში უფრო იზრდება და ფართოვდება ვ. ი. ლენინის ინტერესი საქართველოსა და კავკასიისადმი. იგი მტკიცე კავშირს ამყარებს ამიერკავკასიელ პროფესიონალ რევოლუციონერებთან და მათი მეშვეობით ხელმძღვანელობს მთელ ამ მხარეში რევოლუციურ მოძრაობასა და პარტიულ მუშაობას.

რევოლუციის ბელადმა განსაკუთრებით დიდი ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინა საქართველოს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისადმი. უაღრესად დიდი იყო დახმარება, რომელიც გაუწია მან კავკასიის, კერძოდ, საქართველოს მშრომელებს 1921 წლის მარტსა და აპრილში თავისი სადირექტივო წერილებით, რომლებშიც ცხადად და გარკვევით იყო ჩამოყალიბებული ახალი ისტორიული ვითარების შესაბამისი ტაქტიკის საფუძვლები.

1921 წლის 2 მარტით დათარიღებული ბარათით იგი, კერძოდ, სთხოვდა ს. ორჯონიკიძეს „პასუხი იმ დროისათვის ფრიად კარდინალურ საკითხებზე: „არის თუ არა ჩვენ შორის სრული თანხმობა სამ საკითხში:

პირველი: საჭიროა დაუყოვნებლივ შევაიარაღოთ მუშები და უღარიბესი გლეხები და ამნაირად შევქმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია.

მეორე: **აუცილებელია ქართველი ინტელიგენციისა** და წვრილი ვაჭრების მიმართ **დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა...**

მესამე: უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოინახოს მისაღები კომპრომისი ბლოკისათვის ჟორდანიასთან, ან მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან, რომლებიც ჯერ კიდევ აჯანყებამდე აბსოლუტურად მტრულად არ იყვნენ განწყობილნი გარკვეული პირობებით საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების აზრისადმი".

ამ კითხვებზე ს. ორჯონიკიძემ 3 მარტს უპასუხა: „საქართველოს კომუნისტები სავსებით და ერთსულოვნად ეთანხმებიან ვ. ი. ლენინის დირექტივას". ამავე დღეს საქართველოს რევკომის სახელით მამია ორახელაშვილი და შალვა ელიავა ატყობინებდნენ ვ. ი. ლენინს: „დასმულ კითხვებზე გიპასუხებთ: სამივე კითხვის შესახებ ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ამხ. ლენინს და ვადასტურებთ ამხ. ორჯონიკიძის აზრს, რომ ჩვენს რიგებში მეფობს ერთსულოვნება წამოყენებულ კითხვებზე".

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უკანასკნელი მითითების შესრულებისათვის აქ თითქმის ვერაფერი იღონეს, თორემ შეიძლებოდა რესპუბლიკისთვის აგვეცილებინა არაერთი გართულება და მსხვერპლი.

ლენინი რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა საქართველოს ისტორიულ თავისებურებათა დახასიათებისა და მათი შესაბამისი ტაქტიკური გეზის შემუშავების აუცილებლობის საკითხს. 1921 წლის 14 აპრილის წერილში ბელადმა იმედი გამოთქვა, რომ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების „მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს".

„ამ ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამიერკავკასიის კომუნისტებმა შეიგნონ თავიანთი მდგომარეობის, თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის **თავისებურება,** რუსეთის სფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის აუცილებლობა, რომ ბრმად კი არ გადაიღონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას". მას ამ ტაქტიკური გეზის დამახასიათებელ ნიშან-თვისებად მიაჩნდა: „მეტი სირბილე, სიფრთხილე და დამთმობლობა წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციისა და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ..."

ქართველმა დემოკრატიულმა ინტელიგენციამ თავიდანვე გამოამჟღავნა ახალი ხელისუფლებისადმი ლოიალური დამოკიდებულება, რასაც ცხადყოფს შემდეგი ფაქტები:

მენშევიკურმა მთავრობამ დედაქალაქი დატოვა 1921 წლის 24 თებერვალს, რის გამოც საფრთხეში აღმოჩნდა რესპუბლიკური მნიშვნელობის სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებანი, საერთოდ, სახალხო და სახელმწიფო განძი. ასეთ შემთხვევაში ქართველმა ინტელიგენციამ დიდი პატრიოტიზმი და მოქალაქეობრივი შეგნება გამოიჩინა, როდესაც შექმნა „საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი" მწერლების — პაოლო იაშვილისა და ლევან მეტრეველის, აგრეთვე მუშა გალაქტიონ ვაშაძის შემადგენლობით. ამ „კომიტეტმა" მუშები შეაიარაღა და ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგი აღადგინა, შემდეგ კი თავის ფუნქციები ქალაქის დროებით რევოლუციურ კომიტეტს გადააბარა.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 25 თებერვლის მანიფესტით ამნისტირებულად გამოაცხადა ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიები. ამ ამნისტიის გამოქვეყნებისთანავე ხელისუფლების ორგანოებისაკენ დაიძრა ქართველი ინტელიგენციის — ჟურნალისტთა, მხატვართა, თეატრალურ მოღვაწეთა, ექიმთა, ინჟინერთა, აგრონომთა და სხვათა მრავალრიცხოვანი დელეგაციები. ისინი ლოიალობას უცხადებდნენ ახალ ხელისუფლებას და თანამშრომლობას აღუთქვამდნენ. ამდენად მ. ორახელაშვილსა და შ. ელიავას საკმაო საფუძველი ჰქონდათ. ვ. ი. ლენინისათვის გადასაცემ ბარათში აღენიშნათ: „ქართველ და საზოგადოდ ადგილობრივ ინტელიგენციას ჩვენ ვექცევით სრულის ნდობით. ჩვენ ვეცდებით ჩავაყენოთ ინტელიგენცია შრომისათვის საკეთილო პირობებში და მივცემთ სრულ თავისუფლებას განავითარონ საღი ეროვნული კულტურა სამშობლო ენის ნიადაგზე... ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახალმა მთავრობამ და ინტელიგენციამ უკვე გაუგეს ერთმანეთს და ეს გაგება თანდათან გაძლიერდება შემდგომ მუშაობის პროცესში".

1921 წლის 2 მარტს სახელმწიფო თეატრის შენობაში გაიმართა ხელოვნების მოღვაწეთა კრება, რომელიც თანამშრომლობას აღუთქვამდა ახალ ხელისუფლებას, თუ შეუნარჩუნებდნენ ეროვნულ დამოუკიდებლობას. ამასთან დაკავშირებით თავის სიტყვაში შ. ელიავა ამბობდა: „ხელოვნებასა და კულტურას ჩვენთვის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს... შიშია იმის გამო, თუ როგორ პოზიციას დაიკავებს ახალი მთავრობა ეროვნული კულტურისა და ხელოვნების მიმართ. ჩვენ ისეთი მთავრობა ვართ, რომ კი არ ვსპობთ ეროვნულ თავისუფლებას, არამედ ვიცავთ მას, უზრუნველვყოფთ მის თავისუფალ განვითარებას".

საქართველოს კომპარტიის ლოიალურმა კურსმა, რომელიც მან ვ. ი. ლენინის რჩევით აიღო ინტელიგენციის მიმართ, რევოლუციის გამარჯვების პირველსავე დღეებში დასაბამი მისცა ურთიერთგაგებას. ამასთან დაკავშირებით ფ. მახარაძე სწერდა მოსკოვში მ. ცხაკაიას, რომ **„მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება, ამაში ჩვენ დაგვეხმარა უმთავრესად ლენინი. მხოლოდ მისი დეკლარაციით (2 მარტის წერილით) შეიძლებოდა მტრული ფსიქოლოგიის შეცვლა. ინტელიგენცია ახლა ჩვენთანაა, ატმოსფერო კარგია".** ასეთი იყო ვითარება არა მარტო თბილისში, არამედ რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც. ასე, მაგალითად, ბათუმიდან ს. ქავთარაძე იტყობინებოდა: „ინტელიგენცია ბეჯითად თხოულობს სამუშაოს".

ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობისათვის ინტელიგენციას განაწყობდა არა მარტო დეკლარაციები, არამედ ისეთი სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი, როგორიც იყო:

1. რევოლუციური კომიტეტის მიერ რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ქართული ენის გამოცხადება. ამასთან დაკავშირებით გაბოროტებულმა ადამიანებმა ქალაქში ქართულად ნაწერი ფირნიშები ჩამოხსნეს და რუსული ჩამოკიდეს. სახელმწიფო ენის ასეთი ხელყოფისათვის დამნაშავენი მალე დააპატიმრეს, რასაც ქართველი ინტელიგენცია მოწონებით შეხვდა;

2. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა შეყვანა საბჭოთა მთავრობაში;

3. ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების კონსტიტუციური განმტკიცება საბჭოების პირველ ყრილობაზე სიმონ ხუნდაძის წინადადებით;

4. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ნაწილის მიღება კომუნისტური პარტიის რიგებში;

5. 1922 წლის სექტემბერში ვ. ი. ლენინის საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციასთან, რომელშიც შედიოდნენ მ. ოკუჯავა, ლ. დუმბაძე, კ. ცინცაძე. აი, ამ საუბრის ერთი ნაწყვეტი:

ლენინი — „გლეხს შეუძლია, მაგალითად, შორაპანში ქართულად იყიდოს რკინიგზის ბილეთი?"

დელეგაცია — რასაკვირველია, შეუძლია, რადგან ბილეთის და სადგურის სახელი, სადაც მას უნდა წასვლა, ერთნაირად გამოითქმის ქართულადაც და რუსულადაც.

ლენინი —არა, მე მაგას არ გეკითხებით, „ჩინოვნიკი" იმ სადგურზე ქართველია, თუ სხვა ვინმე?

დელეგაცია — ისიც არის და ისიც.

6. „ქართულ საქმესთან" დაკავშირებით ვ. ი. ლენინის ინტერნაციონალისტური პოზიცია. ვ. ი. ლენინი წერდა: „ქართველი ერის მიმართ ჩვენ გვაქვს იმის ტიპიური მაგალითი, სადაც საქმისადმი ჭეშმარიტად პროლეტარული დამოკიდებულება მოითხოვს ჩვენგან უაღრესად სიფრთხილეს, თავაზიანობასა და დამთმობლობას".

7. საბჭოთა მთავრობის მიერ გამარჯვების პირველ დღეებშივე საქართველოს ინტელიგენციისთვის არა მარტო მორალური, არამედ მატერიალური დახმარების აღმოჩენა. ასე მაგალითად, მუდმივი სახელმწიფო დახმარება დაენიშნა ლიტერატურის ბევრ ღვაწლმოსილ მოღვაწეს: ვ. ბარნოვს, ე. გაბაშვილს, შ. მღვიმელს, შ. არაგვისპირელს, ს. მგალობლიშვილს, შ. დადიანს, გ. ქიქოძეს, ო. თუმანიანს, ა. აკოფიანს, ა. ერისთავ-ხოშტარიას, დ. მეგრელს, ბაჩანას და სხვ. აგრეთვე — ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ნ. ლომოურის, ი. ევდოშვილის, ს. მესხის და კ. ყიფიანის ოჯახებს. სახელმწიფო სამსახურში ჩარიცხეს პროფესიულ დასებში მომუშავე მსახიობები: ვ. აბაშიძე, ტ. აბაშიძე, ვ. ანჯაფარიძე, მ. გელოვანი, ნ. გოცირიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, გ. დავითაშვილი, ა. ვასაძე, ი. ზარდალიშვილი, ა. იმედაშვილი, ა. ლოლუა, ა. ჟორჟოლიანი, შ. ღამბაშიძე, ე. ჩერქეზიშვილი, უ. ჩხეიძე, მ. ჭიაურელი და სხვ. აკადემიური თეატრის რეჟისორებად დანიშნეს ს. ახმეტელი, ა. ფალავა, ა. წუწუნავა, კ. მარჯანიშვილი და მ. ქორელი; ამავე პერიოდში დასს შეემატნენ ც. ამირეჯიბი, ნ. ჩხეიძე, ა. ხორავა და სხვები.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა არც მეცნიერების მოღვაწენი დატოვა მორალური მხარდაჭერისა და მატერიალური დახმარების გარეშე. მან 1921 წლის 25 აგვისტოს დაამტკიცა დებულება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეთა მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ.

8. საბჭოთა რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1922 წლის 20 ივნისს, ვ. ი. ლენინის ინიციატივით, დადგენილების მიღება საქართველოდან რუსეთში გატანილი საარქივო და სამუზეუმო განძეულობათა რეევაკუაციის შესახებ. ქართველი ინტელიგენციისა და ქართული კულტურის მიმართ ვ. ი. ლენინისა და ხელისუფლების პოზიციამ თავიდანვე აღკვეთა საბოტაჟის შემთხვევები საქართველოში.

9. საქართველოს მწერალთა კავშირის ყრილობაზე 1921 წელს აღინიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მწერლობა და ლიტერატურა გახდა სახელმწიფოებრივი მზრუნველობის საგანი. ი. გრიშაშვილი მიესალმებოდა ყრილობას და ამბობდა: „უკვე იწყება ახალი ხანა, ახალი გზების ძიება".

ქართველი ინტელიგენციის ყველა ფენა ერთბაშად არ დასდგომია საბჭოთა პლატფორმას. ზოგიერთი შემოქმედი „ქართული სულის ხელმწიფობას" მოითხოვდა, ზოგი სასოწარკვეთილებას ეძლეოდა — „ჭეშმარიტი პოეზიის ოროლზე უფსკრულისაკენ მიდისო", ზოგიც „სხვა პლანეტაზე გაფრენას" სთხოვდა მამაზეციერ ღმერთს და ა. შ., გზას იკაფავდა ლიტერატურაში პესიმისტური განწყობილება. მაგრამ ახალი ქვეყნის წარმატებით შენებამ, პარტიის ლენინურმა ტაქტმა და ქართული ეროვნული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა — გალაკტიონის, კ. მარჯანიშვილის, ს. ახმეტელის, ი. გრიშაშვილის, ა. მაშაშვილის, ა. იმედაშვილისა და სხვათა შთამაგონებელმა მოწოდებებმა ქართველი ინტელიგენცია თანდათანობით შემოაბრუნა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ.

ქართველი ინტელიგენცია უფრო ადრე და უფრო ადვილად აღმოჩნდებოდა საბჭოთა პლატფორმაზე, 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან ზოგიერთ ხელმძღვანელ მოღვაწეს და ლიტერატურული კრიტიკის ბევრ წარმომადგენელს შემოქმედებითი ინტელიგენციისადმი რომ არ გამოეჩინა რაპპული, შეუფერებელი დამოკიდებულება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურული კრიტიკისა და მეცნიერების ზოგიერთი მოღვაწე უკვე 60-იანი წლებიდან, ცდილობს რა საკუთარი შეცდომების გამოსყიდვას, მეორე უკიდურესობაში ვარდება — ხელს იღებს კლასობრიობისა და პარტიულობის პრინციპზე, რაც, სამწუხაროდ, დღესაც საგრძნობია, როგორც ეს აღნიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე. სწორედ ასეთ მეცნიერებსა და კრიტიკოსებზეა ნათქვამი: „მარცხნივ წახვალ — მარჯვნივ მოხვალო" და პირიქით. რას იზამთ,

მუშათა კლასს — ღირსეული შევსება

წარმატებით მიმდინარეობს ექსპერიმენტი რესპუბლიკის ხუთ საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში. აქ შეიქმნა საწარმოო სწავლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების ერთიანი რეჟიმი. ამან ერთი მხრივ შეამცირა მოსწავლეთა სასწავლო-საწარმოო დატვირთვა, მეორე მხრივ კი გააუმჯობესა სწავლების შინაარსი. მომავალი წლიდან რესპუბლიკის ყველა პროფტექნიკური სასწავლებელი გადავა სწავლების ახალ მეთოდზე.

ეს ითქვა პროფტექნიკური განათლების მუშაკთა პედაგოგიურ კონფერენციაზე, რომელიც კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში გაიმართა.

მუშათა კადრების მომზადების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. გურგენიძემ.

კმაყოფილებით აღინიშნა, რომ ბოლო დროს გაიზარდა ნიჭიერი ახალგაზრდობის ნაკადი პროფტექნიკურ სასწავლებლებში, მჭიდრო კონტაქტები დამყარდა სასწავლებლებსა და საბაზო ორგანიზაციებს შორის, უფრო მრავალფეროვანი გახდა საწარმოო შრომაში მოსწავლეთა ჩაბმის მეთოდები. საფუძველი ჩაეყარა მთელი სისტემის მუშაობის შემდგომ გარდაქმნას, პირველი ნაბიჯები გადაიდგა გამსხვილებული პროფესიების სპეციალისტთა მომზადების გზაზე. გაძლიერდა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის იდეურ-პოლიტიკური გამიზნულობა, მუშაობა იმისათვის, რომ მოსწავლეები აღიჭურვონ ღრმა და მტკიცე ცოდნით, ჩამოუყალიბდეთ მათ თანამედროვე ეკონომიკური აზროვნება, პროფესიულად დაოსტატდნენ, შემოქმედებითად მოეკიდონ შრომას. პირველი ნაბიჯები გადაიდგა სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მჭიდრო კონტაქტების დამყარების მიმართულებით. ამას ხელი შეუწყო პროფესიულმა კონკურსებმა, ოლიმპიადებმა, სასწავლო-შემოქმედებითმა კონფერენციებმა. პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებმა აქ გარკვეული შედეგები მოიპოვეს. შემთხვევითი არ არის, რომ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა შორის ფიზიკის პირველი საკავშირო ოლიმპიადის მოწყობის ადგილად ჩვენი რესპუბლიკა აირჩიეს.

მაგრამ დადებითი გარდაქმნების მიუხედავად ძირეული გარდატეხა ჯერ არ მომხდარა. არ არის გადაჭრილი მთავარი ამოცანა — უზრუნველვყოთ ყველა სასწავლებელში სწავლებისა და აღზრდის საჭირო დონე, განვამტკიცოთ ისინი მაღალკვალიფიციური მასწავლებლებითა და საწარმოო სწავლების ოსტატებით.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ნაწილის სუსტი მომზადების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კონფერენციის მონაწილეებმა მიიჩნიეს საწარმოო სწავლების ოსტატთა არასაკმარისი პროფესიული ზოგადტექნიკური და ეკონომიკური ცოდნის დონე. არადა, სწორედ მათზეა დამოკიდებული მუშათა კადრების მომზადების ხარისხი.

სწავლების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა წარმოუდგენელია, თუ ეს სასწავლებლები მჭიდრო ურთიერთობას არ დაამყარებენ სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, რესპუბლიკის თვალსაჩინო მეცნიერებთან, საწარმოებთან. მხოლოდ მათთან მჭიდრო თანამშრომლობით მიიღებს საქართველოს მუშათა კლასი ღირსეულ შევსებას.

კონფერენციაზე გამოვიდა სსრ კავშირის პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ი. კორჩინი.

კონფერენციის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზია.

(საქინფორმი).

გულახდილი დიალოგი

სხვადასხვა სოციალური სისტემის წარმომადგენელ მეცნიერთა დიალოგის ნაყოფიერებას ცხადყოფს ი. პოპოვის (სსრ კავშირი) და ჟ. ზიგლერის (შვეიცარია) წიგნი „2000 წელი: კაცობრიობის დაღუპვა? აღმოსავლეთ-დასავლეთის დიალოგი", რომელიც გამომცემლობა „პროგრესმა" გამოუშვა. ამ წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით 26 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში გაიმართა პრესკონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

საკავშირო პროფსაბჭოს პროფკავშირული მოძრაობის უმაღლესი სკოლის კათედრის გამგე ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ი. პოპოვი და ჟენევის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი ჟ. ზიგლერი ჟურნალისტებს ესაუბრნენ იმაზე, თუ როგორ მუშაობდნენ წიგნზე, რომლის ფურცლებზე ისინი გულახდილად ბჭობენ თანამედროვეობის უმწვავეს პრობლემებზე. საქმე ეხება მშვიდობის შენარჩუნებას პლანეტაზე, გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას.

წიგნის ავტორებმა უპასუხეს ჟურნალისტთა მრავალ კითხვას.

(საქდესის კორ.).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ვადიმ მიხეილის ძე მალიშევი დანიშნა სსრ კავშირის ატომურ ენერგეტიკაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს კომპარტიის თბილისის 26 კომისრის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის 26 კომისრის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ა. ი. პავშენცევი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნად მის არჩევასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის თბილისის 26 კომისრის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია ჯ. ა. ბერიძე, რომელიც მუშაობდა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ალავიძემ.

(საქინფორმი).

უცხოეთში
ფაქტები • მოვლენები

პასუხისმგებლობა კაცობრიობის ბედისათვის

იწონებენ საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს

ბრატისლავა. საბჭოთა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, მოქმედების ვადა გაუგრძელოს ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივ მორატორიუმს, არა მარტო კეთილი ნების ჟესტია, არამედ მძლავრი იმპულსიცაა თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემის — თანდათანობით ბირთვული განიარაღების გადაჭრისადმი მიდგომაში ისტორიული გარდატეხის განხორციელებისათვის, — წერს ბრატისლავის გაზეთი „პრავდა". სსრ კავშირს საკმარისზე მეტი მიზეზი აქვს განაახლოს ბირთვული გამოცდები. მაგრამ მან გააგრძელა მორატორიუმის მოქმედება, რადგან გაითვალისწინა პლანეტის ხალხთა უმნიშვნელოვანესი ინტერესები და შეგნებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა კაცობრიობის ბედისათვის, ისწრაფვის მიაღწიოს ძირეულ გარდატეხას საერთაშორისო ვითარებაში, ხაზს უსვამს გაზეთი.

პნომპენი. არ შეიძლება არ აგვაღელვოს კაცობრიობის ბედისათვის საბჭოთა კავშირის ზრუნვამ. მხოლოდ ასე შეიძლება შევაფასოთ სსრ კავშირის გადაწყვეტილება ვადა გაუგრძელოს ბირთვულ აფეთქებათა მორატორიუმს. ეს განაცხადა საქდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში კამპუჩიის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა იიტ კიმ სენგმა. სსრ კავშირის ახალი ინიციატივა, აღნიშნა მან, რეალური ნაბიჯია ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე. საბჭოთა კავშირმა კვლავ დაადასტურა, რომ მისი საგარეო-პოლიტიკური კურსი უცვლელია.

რომი. საბჭოთა ხელმძღვანელის მ. ს. გორბაჩოვის განცხადება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირმა ცალმხრივი წესით გადაწყვიტა გაახანგრძლივოს ბირთვულ გამოცდათა მორატორიუმი, პოლიტიკური თვალსაზრისით განსაკუთრებული ჟესტია, რომელიც სრულად ასახავს სსრ კავშირის მშვიდობისადმი მისწრაფებას, იმას, რომ იგი მზად არის დასავლეთთან დიალოგისათვის, განაცხადა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში ამ ქვეყნის ყველაზე მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის — „იტალია-სსრ კავშირის" საზოგადოების გენერალურმა მდივანმა ვინჩენცო კორგიმ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ინიციატივები რომ გულწრფელი და კონკრეტულია, ამას საეჭვოდ ვერავინ გახდის, თქვა მან. უფრო მეტიც, შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელის ამ გაბედულ და გულახდილ ჟესტს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში მიიჩნევენ უმაღლესი ეთიკის, ადამიანის გონიერების, ძალისა და გამარჯვების რწმენის გამოვლინებად.

ლონდონი. სსრ კავშირის გადაწყვეტილება, გაახანგრძლივოს ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმი, მთელი სიცხადით გვიჩვენებს, რომ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის საფუძველია მისწრაფება ბოლო მოუღოს გამალებულ შეიარაღებას. განაცხადა გაზეთ „მორნინგ სტარისათვის" მიცემულ ინტერვიუში დიდი ბრიტანეთის მეხანძრეთა პროფკავშირის გენერალურმა მდივანმა კამერონმა. ამით საბჭოთა კავშირი სახავს ამოცანას, გზა გაუხსნას ყველა ბირთვული აფეთქების სრული აკრძალვის შესახებ ყოვლისმომცველ შეთანხმებას. არ არის ისეთი რეალური მიზეზები, რისთვისაც შეიძლება, რომ ასეთი შეთანხმება არ დაიდოს. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. რეიგანი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მ. ტეტჩერი, რომლებიც უარს ამბობენ პოზიტიურად გამოეხმაურონ სსრ კავშირის ამ ნაბიჯს, ხელს უშლიან ახდეს კაცობრიობის ოცნება — პლანეტამ მოიშოროს ბირთვული შეიარაღება. ის, რომ ვაშინგტონს აშკარად არ სურს მიბაძოს სსრ კავშირის კეთილ მაგალითს, დაკავშირებულია პენტაგონის მიერ სულ ახალი სახეობათა შეიარაღების შემუშავებასთან, უპირველეს ყოვლისა „ვარსკვლავეთის ომების" პროგრამის რეალიზაციასთან.

მონტევიდეო. საბჭოთა კავშირის მიერ გახანგრძლივებული ბირთვულ აფეთქებათა მორატორიუმი მიზნად ისახავს დაიცვას მშვიდობა მთელ ჩვენს პლანეტაზე, განაცხადა საქდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში სამკერვალო ფაბრიკის „ალპარგატის" მექანიკოსმა ვაშინგტონ რიპოლმა. ურუგვაელი მუშის ამ სიტყვებით აისახა ლათინური ამერიკის პატარა ქვეყნის მრავალი ათასი მშრომელის აზრი, რომლებსაც საბჭოეთის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა დედამიწის ყველა ხალხის მშვიდობიანი მომავლის საწინდრად მიაჩნიათ.

ჩვენ, ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხებს, არ გადაგვიტანია მსოფლიო ომის საშინელებანი, თქვა ფაბრიკა „ინტერლანერის" მუშამ მანუელ მედინამ. მაგრამ კარგად გვესმის, რომ ბირთვული ომი თუ გაჩაღდება, იგი შეეხება უკლებლივ ყველა ქვეყანასა და ხალხს. ამიტომ ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს საბჭოთა კავშირის მეცადინეობას, რომლის მიზანია არ დაუშვას იგი.

◆ აშშ-ზიმბაბვე

მტრული აქცია

შეერთებული შტატები უარს ამბობს თავის პირობაზე

ვაშინგტონი. რეიგანის ადმინისტრაციამ ჩაიდინა უხეში მტრული აქცია ზიმბაბვეს მიმართ.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ შეერთებული შტატები უარს ამბობს თავის წინამდელ პირობაზე აფრიკის ამ დამოუკიდებელ ქვეყანას აღმოუჩინოს ეკონომიკური დახმარება 13,5 მილიონი დოლარის ოდენობით. უფრო მეტიც, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკური უწყების წარმომადგენელმა განაცხადა, „შეერთებული შტატების მთავრობამ გადაწყვიტა, რომ იგი არავითარ ახალ ხელშეკრულებას აღარ დადებს ზიმბაბვესათვის დახმარების გაწევის შესახებ". რეიგანის ადმინისტრაცია ცდილობს ზიმბაბვეს მთავრობა ამგვარად „დასაჯოს" სამხრეთ აფრიკაში ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკური კურსის გაკრიტიკებისათვის. ვაშინგტონის განსაკუთრებული რისხვა გამოიწვია 4 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში გამართულ დარბაზობაზე ზიმბაბვეს ახალგაზრდობის, სპორტისა და კულტურის საქმეთა მინისტრის დევიდ კარიმანზირის გამოსვლამ, რომელმაც, კერძოდ, განაცხადა, რომ „რეიგანის ადმინისტრაცია სრულიად უგულებელყოფს სამხრეთ აფრიკის რასისტული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ განხორციელებულ სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკას". „ამასთან ერთად, — ხაზგასმით აღნიშნა კარიმანზირმა, — იგი თავს ნებას აძლევს უსაფუძვლოდ ბრალი დასდოს ლიბიას, ასეთ კურსს ახორციელებს, და დაბომბოს მისი ქალაქები. ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ კი გვესმის მხოლოდ აპარტეიდის გამართლება".

ამერიკის ნამდვილი სახე

დაიწყო მაურის დევნა

ნიუ-იორკი. მეტისმეტად ძნელი გამოდგა ჯოზეფ მაურისათვის სამშობლოში ყოფნის პირველივე დღეები საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ.

ადგილობრივი რეაქციული ძალები გამძაფრებით თავს ესხმიან, ყოველმხრივ დევნიან „ადამიანს მეხუთე ავენიუდან". არ სურთ მას აპატიონ ის, რომ სიმართლე ითქვა ამერიკელ უსახლკაროთა მძიმე ხვედრის შესახებ. დევნის სიგნალი არსებითად ადგილობრივმა პრესამ მისცა, რომელიც ცდილობს უსახლკარო ღარიბთა თავშესაფრის ბინადარი „ანტიპატრიოტად", „ანტიამერიკელად" მონათლოს. გასაკვირი არ არის, რომ მაურის მოკვლით ემუქრებიან. „მე ყველაფრისათვის მზად უნდა ვიყო. კაცმა არ იცის, ნებისმიერ წუთს რა მომელის", თქვა მაურმა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში. ჯოზეფმა სთხოვა მას გულითადი სალამი გადაეცა საბჭოთა ადამიანებისათვის. „სთხოვეთ მათ, რომ არ დამივიწყონ", დასძინა მან რუსულად.

სიონისტთა გამოხდომა

ნიუ-იორკი. სამშაბათ საღამოს აქ მორიგი ბანდიტური გამოხდომა ჩაიდინეს ეგრეთ წოდებული „ებრაელთა დაცვის ლიგის" მოფაშისტო არამზადებმა.

ამჯერად მათი სამიზნე გახდა სსრ კავშირის სახელგანთქმული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი სსრ კავშირის სახალხო არტისტის ი. ა. მოისეევის ხელმძღვანელობით, რომელიც საგასტროლოდ არის ამერიკის შეერთებულ შტატებში. კონცერტის დაწყებიდან ხუთი წუთის შემდეგ ნიუ-იორკის საკონცერტო დარბაზ „მეტროპოლიტენში" ააფეთქეს ცრემლსადენგაზიანი ბომბი.

ამ ტერორისტული აქციის შედეგად 26 მაყურებელი მოიწამლა, ოთხი დაზარალებული ჰოსპიტალში გადაიყვანეს. „მეტროპოლიტენის" ადმინისტრაცია იძულებული გახდა შეეწყვიტა კონცერტი.

საგულისხმოა, რომ ტერორისტებს საჭიროდაც არ ჩაუთვლიათ დამალულიყვნენ, ამ ხულიგნური თავდასხმის შემდეგ მალე ამერიკის ასოშიეიტედ პრესისა და იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საინფორმაციო სააგენტოების განყოფილებებში ტელეფონით დარეკა „ებრაელთა დაცვის ლიგის" ერთ-ერთმა ბანდიტმა წევრმა და განაცხადა, ეს სიონისტურმა ტერორისტულმა ბანდამ ქნაო, მან დასძინა, „ამგვარი აქციები გაგრძელდებაო".

ეს სულაც არ არის უბადალოებული „ლიგის" პირველი გამოხდომა, რომლის მიზანი ის არის, რომ ხელი შეუშალოს კულტურულ და სპორტულ გაცვლას სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. „ლიგის" არამზადებს წინათაც არაერთხელ ჩაუდენიათ ანტისაბჭოური ტერორისტული გამოხდომები. მაგრამ, ამის მიუხედავად, ამერიკის ხელისუფალთ არსებითად არ განუხორციელებიათ ეფექტიანი ღონისძიებანი სიონისტური ტერორის აღსაკვეთად. როგორც დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან, ამ ანტისაბჭოური გამოხდომების მონაწილეთაგან ჯერ არავინ დაუპატიმრებიათ.

„ჩვენ არ გვეშინია ბომბების, თუმცა მივეჩვიეთ იმას, რომ საბჭოთა კავშირში ამგვარი რამ საერთოდ წარმოუდგენელია, — განუცხადა ჟურნალისტებს წარმოდგენის ჩაშლის შემდეგ ი. ა. მოისეევმა, — ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ კვლავ გამოვალთ სცენაზე. ჩვენს მეგობრებს სურთ, რომ მუსიკის თანხლებით ვიცეკვოთ, მტრებს კი ამჯობინებენ ბომბების აფეთქების თანხლებით ვიცეკვოთ. ვიმედოვნებ, მომხდარი აქცია გავლენას ვერ მოახდენს ჩვენს გასტროლებზე".

ნიუ-იორკი. „მეტროპოლიტენში" მომხდარი ინციდენტი გულისწყრომით დაგმო ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა დირექტორმა ალან ტომსონმა. საქდესის კორესპონდენტთან საუბარში მან თქვა, რომ ეს გამოხდომა მოაწყო იმ ადამიანთა ჯგუფმა, რომლებიც ცდილობენ ყოველნაირად შეუშალონ ხელი ორ ხალხს შორის კულტურული კონტაქტების განვითარებას. მე მჯერა, თქვა ტომსონმა, საბჭოთა ადამიანები გაგვიგებენ, რომ ეს აქცია არ შესაბამება ამერიკელი ხალხის ინტერესებს.

ფოტოფაქტი



◆ **ლინკოლნის სახელობის ინტერნაციონალური ბრიგადის ათობით ვეტერანმა, რომლებიც ესპანეთის სამოქალაქო ომის წლებში ფაშიზმს ებრძოდნენ, მონაწილეობა მიიღეს საპროტესტო დემონსტრაციაში (სურათზე) ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ დაამახინჯონ ისტორია და სახელი გაუტეხონ ესპანელი ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლთა საქმიანობას.**

ისინი ნიუ-იორკში ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ, რათა მოეწყოთ პიკეტირება „ვილეჯ ვოისის" შენობასთან, გამოეთქვათ თავიანთი აღშფოთება საგაზეთო სტატიის გამო, რომელიც ჩირქს სცხებს ესპანეთში მებრძოლ კეთილშობილურ მიზნებს, ბღალავს 1600 პატიოსანი ამერიკელის ხსოვნას, ფაშიზმთან ბრძოლაში რომ დაიღუპნენ. სტატია შეიცავს რასისტულ თავდასხმას ლინკოლნის ბრიგადის შავკანიანი წევრების წინააღმდეგ. საპროტესტო პეტიციის მიღებაზე გაზეთის მფლობელებმა უარი თქვეს.

საქდესის ფოტო.

ასეთია პოლიტიკური ცხოვრების ლოგიკა. აი რატომ არის ერთადერთი მართალი და სწორი მხოლოდ **პრინციპული პოლიტიკა,** რომელიც ვერ ეგუება კონიუნქტურულობას.

ეროვნულ საკითხს ხშირად შეუსრულებია საქართველოს ინტელიგენციისათვის წყალგამყოფის როლი სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობაში. ასეთ როლს ასრულებდა იგი საერთოდ, ყოველთვის, როდესაც კი მრუდე სარკიდან უჩვენებიათ მასებისათვის ლენინური ეროვნული პროგრამა და პოლიტიკა.

აი რამდენიმე ფაქტი:

1. ბაქოს საბჭოს 1921 წლის 11 აპრილის სხდომაზე ს. ორჯონიკიძე ამბობდა: საქართველოს „ინტელიგენციამ განაცხადა, რომ თუ ჩვენ მართლაც არ ვაპირებთ წავართვათ მათ დამოუკიდებლობა, მაშინ ისინი პირობას იძლევიან იმუშაონ ისე, როგორც არასოდეს".

2. 1925 წელს მასწავლებელთა ყრილობაზე ფ. მახარაძე აღნიშნავდა: „საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის გაუგებრობა იყო უმთავრესი მიზეზი იმ დიდი გაუგებრობის, რომელიც არსებობდა ერთი მხრივ მშრომელთა წრიდან გამოსულ სახალხო მასწავლებლობასა, და ხელისუფლებას და პარტიას შორის, მეორე მხრივ. დღეს ეს უნდობლობისა და განზე დგომის ყინული გალღვა და მასწავლებლობა უახლოვდება თავის ბუნებრივ მოკავშირეს — მშრომელთა მთავრობას და პროლეტარიატის ხელმძღვანელ პარტიას".

„ჩვენს ინტელიგენციაში, — ამბობდა ს. ორჯონიკიძე, — დასახულ შემობრუნებას დიდი სიცხადე შეაქვს ჩვენს ურთიერთობაში. იმედი ვიქონიოთ, რომ თბილისელი ექიმების, მასწავლებლების, ინჟინრებისა და სხვათა გამოსვლა ნამდვილი გარდატეხის მაჩვენებელია".

3. 1925 წელს საქართველოს მწერალთა კავშირმა, ჩამოაყალიბა რა მწერალთა პლატფორმა, აღნიშნა: „1921 წლის თებერვლიდან, როცა საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, ქართული მწერლობის ფართო წრეების წინაშე აქტუალურად დადგა ამ ხელისუფლებასთან ახლო თანამშრომლობის საკითხი... მაგრამ არსებობდა ერთი ძნელად გადასალახავი დაბრკოლება, რომელიც ქართული მწერლობის ფართო წრეებს ხელს უშლიდა იმთავითვე დამდგარიყო აქტიური თანამშრომლობის ნიადაგზე საბჭოთა ხელისუფლებასთან.

ამ დაბრკოლებას იწვევდა ეროვნული საკითხი. ქართველი შემოქმედი ინტელიგენციის წრეები ერთგვარ გაორებას განიცდიდნენ ახლად შექმნილი პირობებით, თუ ერთი მხრივ, ის სოციალური იდეები, რომელთა მატარებლად გამოდიოდა ახალი ხელისუფლება, არ იყო უცხო ქართული მწერლობისათვის, მეორე მხრივ, უნებლიეთ იბადებოდა შიში, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ აღიარებული ეროვნულ-კულტურული დამოუკიდებლობის პრინციპები, მისდაუნებურად, ვერ მიიღებდნენ სრულ განხორციელებას, რომ ეროვნული პოლიტიკის ხაზი თანდათან გაიხრებოდა საქართველოს საზიანოდ. უკვე მეოთხე წელი შესრულდა, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, და ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული და კულტურული პოლიტიკის ხაზში არის მნიშვნელოვანი მიღწევები".

4. საქართველოს მწერალთა ყრილობაზე 1926 წლის თებერვალში ვასილ ბარნოვი აღნიშნავდა, რომ ქართული მწერლობა „იბრძოდა რუსეთის საშინელი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და სასოებით მოელოდა რევოლუციას. და, როგორ შეიძლება, რომ ქართველმა მწერალმა არ იგრძნოს, არ მიიღოს რევოლუცია... ჩვენ, ქართველმა მწერლებმა მივიღეთ რევოლუცია და ვცდილობთ სათანადოდ ავსახოთ იგი ჩვენს ნაწარმოებებში". ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „ქართველი ინტელიგენცია გამოთქვამს თავის მზადყოფნას გვერდში ამოუდგეს მშრომელ ხალხს ამ გადამწყვეტ ბრძოლაში, ერთგულად ითანამშრომლოს საბჭოთა ხელისუფლებასთან".

ოციანი წლების მეორე ნახევარში, დროდადრო კვლავ იჩენდა ხოლმე თავს ზოგიერთი ბზარი ინტელიგენციის ერთ, მცირე ნაწილსა და მმართველი პარტიის პოლიტიკას შორის, რაც ხშირად ეროვნული კულტურის საკითხში დაშვებულ შეცდომებთან იყო დაკავშირებული. ამისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ის გარემოება, რომ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელ მუშაკთა ერთი ჯგუფი, ნაციონალ-უკლონისტების ბანაკიდან, ცდილობდა დათმობათა ლენინური ტაქტიკა გადაექცია პოლიტიკურ დათმობათა სისტემად, მეორე ჯგუფი, პარტიის სამხარეო კომიტეტიდან კი დათმობათა ტაქტიკას პოლიტიკური უკანდახევის ტაქტიკად მიიჩნევდა და მას განვლილ ეტაპად თვლიდა. დათმობათა ლენინური ტაქტიკა ნავარაუდევი იყო არა ერთი და ორი წლისათვის, არამედ სოციალისტური მშენებლობის მთელი პერიოდისათვის, რაზედაც ამგვარად მიგვანიშნა ბელადმა, როდესაც 1921 წლის 14 აპრილის წერილში საქართველოს კომუნისტების საბრძოლო ამოცანად დასახა **„უფრო ნელი, უფრო ფრთხილი, უფრო სისტემატური გადასვლა სოციალიზმზე".**

ამის დავიწყებამ განაპირობა ამიერკავკასიის ფედერაციისა და სსრ კავშირის შექმნასთან დაკავშირებული დავა და ეგრეთ წოდებული „ქართული საქმე"; აგრეთვე, მემარჯვენეობასთან შედარებით ტროცკისტული ოპოზიციის მძლავრობა რესპუბლიკაში, 30-იანი წლების პირველ ნახევარში შეცდომები და დამახინჯებანი საკოლმეურნეო მშენებლობაში, ხოლო 30-იანი წლების მეორე ნახევარში — საბედისწერო შეცდომები და დანაშაულობანი, განსაკუთრებით ინტელიგენციის მიმართ და ა. შ. აი, ზოგიერთი ფაქტიც: საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1927 წლის 30 დეკემბერს განიხილა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა და პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მუშაობის საკითხი. ძირითადად მოწონებულ იქნა ორივე შემოქმედებითი გაერთიანების მუშაობა და აღინიშნა მწერალთა შემდგომი დაახლოება საბჭოთა ხელისუფლებასთან. მაგრამ ექვსი თვის შემდეგ, 1928 წლის 7 ივნისს აღნიშნულ ორგანოში მიიღეს წმინდა რაპპული გადაწყვეტილება, რომლითაც გამომცემლობა „ქართულ წიგნს" აეკრძალა ქართველ კლასიკოსთა შრომების გამოცემა. ამავე დროს მ. კახიანი თავის გამოსვლაში დაბეჯითებით აღნიშნავდა ნაციონალიზმისა და შოვინიზმის „ზრდას" ინტელიგენციაში, რაც, მისი აზრით, მხატვრულ ლიტერატურაში თურმე გამოიხატებოდა მწერალთა ყრილობაზე რაჟდენ კალაძის განცხადებით, რომ „ეროვნული იდეის გარეშე არ არის პროლეტარული ლიტერატურა". სამი წლის შემდეგ, 1931 წლის აპრილში საქართველოს საბჭოთა მწერლობის ფედერაციიდან გარიცხეს ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მწერლები, ვითომც ნაციონალისტ-კონდრატიეველები. ასეთივე ბრალდებით დაითხოვეს თბილისის უნივერსიტეტიდან საქვეყნოდ სახელგანთქმული მეცნიერები.

მაგრამ, საბედნიეროდ, საქართველოს კომპარტია მალე აღმოაჩენდა ხოლმე თავისთავში ძალებს შეცდომათა გამოსწორებისა და გართულებათა ლენინურად დაძლევისათვის. ასე მაგალითად, მემარცხენულ გამოხდომებს შემოქმედებითი ინტელიგენციის მიმართ ძირითადად ბოლო მოუღო საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ცნობილმა დადგენილებამ და სსრ კავშირის მწერალთა პირველმა ყრილობამ 1934 წელს. „არავისთვის დასამალავი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ, — წერდა ფ. მახარაძე, — ახალგაზრდა მუშურგლეხური საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც... ხშირად შემცდარ ნაბიჯებს აკეთებდა, ხშირად უშვებდა შეცდომებს, რაც ადვილი ასახსნელი იყო ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, მაგრამ გაუგებარი სხვებისათვის. ასეთი შეცდომები, რა თქმა უნდა, აბრკოლებდნენ საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების მიღებას და ცნობას არა მარტო ჩვენს ორგულთა და მოწინააღმდეგეთა მხრივ, არამედ იმათი მხრითაც კი, ვინც ჩვენ თანაგრძნობით გვეყურებდა". ძირითადად ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ საბჭოთა ქვეყნის ყოველი საგარეო-პოლიტიკური გართულებისას ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენცია საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთიანი ფრონტით გამოდიოდა.

1927 წელს საბჭოთა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის გართულებასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ გააქტიურდა ქართველი ემიგრაცია, იგი საქართველოში ახალი აჯანყების მოწყობას შეუდგა. აჯანყება ნავარაუდევი იყო 1927 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე, როგორც კი დაიწყებოდა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ომი.

ნ. ნიკოლაძის ინიციატივით თბილისში 1927 წლის 5 აგვისტოს გაიმართა ინტელიგენციის საპროტესტო კრება. კრების რეზოლუციაში ვკითხულობთ: „საჭიროა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები შეუთავსდეს იმ სისტემას, რომელშიაც საქართველო, ისტორიის განაჩენით არის მოქცეული. ასეთი შეთავსება საბჭოთა სისტემასთან არ წარმოადგენს სიძნელეს, რადგანაც ქართველ ინტელიგენციას ყოველთვის ახასიათებდა რადიკალიზმი სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში". ამავე დროს ივანე გომართელი მიმართავდა რა მუშებს, წერდა: „ჯერ-ჯერობით ბევრი რამ გაკლიათ, მაგრამ ერთი რამ კარგად უნდა გახსოვდეთ: ერთადერთია საბჭოთა ხელისუფლება მთელს მსოფლიოში, რომელიც იბრძვის თქვენი ცხოვრების ასაყვავებლად, სხვები კი თქვენი მოსისხლე მტრები არიან".

ასე თანდათანობით მკვიდრდებოდა ინტელიგენციასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთგაგება და ურთიერთნდობა, რაც ქართული ეროვნული კულტურის აღორძინება-აყვავების გადამწყვეტი ფაქტორი გახდა. ქართული ეროვნული კულტურის შემდგომი წინსვლა მნიშვნელოვნად შეაფერხა გერმანელთა თავდასხმამ საბჭოთა ქვეყანაზე. ქართველი ინტელიგენცია, მთელ ხალხთან მტკიცე მორალურ-პოლიტიკური ერთიანობით შეკავშირებული, გმირულად ჩაება მძიმე ომში სამშობლოს დასაცავად. ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენცია საკუთარი ხალხის ღირსეულ შვილად წარდგა ქვეყნის წინაშე. მან არაერთგზის ასახელა დედასამშობლო როგორც სამამულო ომის ფრონტებზე, ისე ღრმა ზურგში.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საბჭოთა ადამიანების, კერძოდ, ინტელიგენციის ერთ ნაწილში იდეოლოგიისადმი უზრუნველობამ დაისადგურა. ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ბურჟუაზიული იდეების მოძალებისათვის, რაც გამოიხატა დასავლეთის კულტურულ ფასეულობათა წინაშე მონური ქედის მოხრითა და აქა-იქ მემარცხენეობის „საყმაწვილო სენის" რეციდივებით. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ არ დაივიწყა ინტელიგენციის მიმართ ლენინური მიდგომა და სერიოზულ წარმატებებს მიაღწია შემოქმედებით ინტელიგენციასთან ურთიერთობაში, [illegible] მონახა მასთან დიალოგის კარგი ტონი.

საქართველოს კომუნისტური პარტიისა და რესპუბლიკის ინტელიგენციის თანადგომითა და მხარდაჭერით მაღალ განვითარებას მიაღწია ქართველი ხალხის ფორმით ეროვნულმა, შინაარსით სოციალისტურმა და ხასიათით ინტერნაციონალისტურმა კულტურამ.

ი. კაჭარავა,
პროფესორი.

● ლიბანი

პოზიტიური ტენდენციები

ბეირუთი. მოქიშპე დაჯგუფებათა [illegible] დიალოგს კმაყოფილებით შეხვდა ადგილობრივი [illegible] ვენ დაზავების შესახებ 2 სექტემბერს მიღწეულ შეთანხმებას. პრესა აღნიშნავს, რომ ბრძოლის შეწყვეტამ ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციას, რომლის მკვეთრი გაუარესება მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობის ფართო ფენებს.

ლიბანში შინაპოლიტიკურ ვითარებაში დასახული პოზიტიური ტენდენციები აღიზიანებს თელ-ავივს. ისრაელის მხედრიონმა ლიბანის მიწა-წყალზე თავისი ყოფნა ნაბათიის რაიონის ინტენსიური დაბომბვით შეახსენა მას. აგრესორმა ცეცხლი დაუშინა დასახლებულ პუნქტებს ქფარ-რუმანს, შუქინს, ჰაბუშს, ჯბაას. რამდენიმე კაცი დაიჭრა, მათ შორის ქალები და ბავშვები. მოხდა ნგრევა. ისრაელის მიერ უკანონოდ შექმნილი ეგრეთ წოდებული „უშიშროების ზონის" აღმოსავლეთ ნაწილში ინტერვენტთა არტილერიამ ფოსფორული ჭურვები დაუშინა სოფლების აინ-ქნიისა და მიმას განაპირა უბნებს, რის შედეგადაც გაჩნდა ხანძრები, რომლებმაც მოსპო ტყის ნარგაობა და ნათესები.

● ჩილე

ეროვნული პროტესტის დღე

ბუენოს-აირესი. ჩილეში გაიმართა პინოჩეტის დიქტატურის წინააღმდეგ ეროვნული პროტესტის დღე.

მის თარიღს ღრმა სიმბოლიკა აქვს — 1973 წლის ფაშისტურ გადატრიალებამდე ყოველ ექვს წელიწადში ჩილელი მოქალაქეები 4 სექტემბერს ირჩევდნენ ქვეყნის ახალ პრეზიდენტს. ბოლო დღეებში ჩილეს ქალაქების შენობათა კედლებზე გაჩნდა ლოზუნგები, რომლებიც მოითხოვენ საძულველი დიქტატურის გადადგომას, დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას. ყოველ ღამით ვრცელდება ფურცლები, რომლებიც მოუწოდებენ მოსახლეობას ჩაებას საპროტესტო აქციაში. ხელისუფლები საგულდაგულოდ მოემზადნენ ხალხის მასების გამოსვლების ჩასახშობად. ქალაქებში შეიყვანეს გაძლიერებული სამხედრო კონტინგენტი, გაძლიერდა პატრულირება, მიმდინარეობს დაპატიმრებანი.

მოკლედ

● **ნიუ-იორკი,** 19 სექტემბერს ვაშინგტონში გაიმართება საზოგადოებრიობის მასობრივი დემონსტრაცია ლოზუნგით — შევუერთდეთ ყოველგვარ ბირთვულ აფეთქებაზე საბჭოთა კავშირის მორატორიუმს. იგი გაიმართება გონივრული ბირთვული პოლიტიკის მომხრე კომიტეტის, ბირთვული შეიარაღების გაყინვის ეროვნული კამპანიის, ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის საბჭოსა და სხვა ომისაწინააღმდეგო ორგანიზაციების ინიციატივით.

● **პანამა.** რესპუბლიკის ყოფილმა პრეზიდენტმა ხორხე ილიუეკამ განაცხადა, რომ პანამა კატეგორიულად უარყოფს ყოველგვარ ცდას ქვეყნის ტერიტორია გამოიყენონ ნიკარაგუელ კონტრრევოლუციონერთა ბანდების მოსამზადებლად.

● ჩინეთი

დიდი კედლის რეკონსტრუქცია

პეკინი. წარსულის ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობის — ჩინეთის დიდი კედლის რეკონსტრუქციის ფართო პროგრამაა დასახული.

ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ მისი პირველი უბნები აიგო IV-III საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. 221 წელს ჩინეთის გაერთიანების შემდეგ დაიწყო მთლიანად კედლის შენება, რომლის სიგრძემ მშენებლობის დროს, ასწლეულების განმავლობაში რომ გრძელდებოდა, დაახლოებით 5 ათასი კილომეტრი შეადგინა.

ბოლო წლებში კედლის ზოგიერთი უბანი აღადგინეს. ერთ-ერთი მათგანი მდებარეობს ბადალინის სპეციალურ ზონაში, რომლის ხელმძღვანელებიც შეხვდნენ უცხოელი და ჩინელი ჟურნალისტების ჯგუფს და უამბეს, როგორ მუშაობენ ამ კუთხეში უნიკალური ისტორიული ძეგლის შესანარჩუნებლად.

1981 წელს ბადალინი პეკინის საქალაქო მთავრობის გადაწყვეტილებით სპეციალურ ზონად გამოცხადდა. იქიდან მოყოლებული ჩინეთის დედაქალაქის ამ გარეუბანში მოქმედებს მხოლოდ ის საწარმოები, რომლებიც უზრუნველყოფს კედლის დაცვასა და რეკონსტრუქციას, აგრეთვე ტურიზმის ინდუსტრიას. განსაკუთრებული ღონისძიებები ხმარდება გარემოს გაჭუჭყიანების თავიდან აცილებას.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ კედელი აქ, ისე როგორც ბევრ სხვა რაიონში, მეტისმეტად ინგრეოდა. ადგილობრივი მცხოვრებნი მას სამშენებლო მასალად იყენებდნენ. ქვეყნის კულტურის მუშაკთა ინიციატივით გაჩაღდა ისტორიული ძეგლის დაცვის მასობრივი საზოგადოებრივი კამპანია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მის რესტავრაციასა და დაცვას 2,5 მილიონ იუანზე მეტი მოხმარდა.

მომავალ ხუთ წელიწადში კედლის აღსადგენი სამუშაოები ბადალინში გაგრძელდება. გათვალისწინებულია, მთებში გაიყვანონ გვირაბი, რომელიც მას დააშორებს საავტომობილო გზას. დაგეგმილია მუზეუმის შექმნა, რომლის ექსპოზიციაც მნახველებს მოუთხრობს ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობის ისტორიას, გააცნობს ათასობით ჩინელი გლეხის შრომას, რომელთა ძალებითაც შენდებოდა ძველი ხუროთმოძღვრების ეს საუცხოო ნიმუში.

რასიზმი მოქმედებს

ალანსონის ტრაგედია

პარიზი. ტრაგედია მოხდა გვიან ღამით, ორნის დეპარტამენტის პატარა ქალაქ ალანსონის ერთ-ერთ ღარიბთა უბანში. მაღრიბის ქვეყნებიდან გამოსული ოცდაორი წლის პიერ ოშერი შინ გვიანობამდე იჯდა და თავის მეგობართან ერთად მუსიკას უსმენდა. მისმა მეზობელმა, ფრანგმა ანდრე ბოვემ ჩათვალა, რომ მუსიკას „მეტისმეტად ხმამაღლა" უკრავდნენ, და ეს უკვე საკმარისი იყო. „ისევ ხმაურობენ ეს არაბები", წამოიყვირა მან, სტაცა ხელი თოფს და „მყუდროების დამრღვევთა" ბინაში შევარდა, რამდენიმე გასროლა და... ფერადკანიანმა ახალგაზრდა კაცმა სული განუტევა. მისი მეგობარი ჯამელ ქემარი მძიმედ დაიჭრა.

კიდევ ერთი ბოროტმოქმედება რასობრივ ნიადაგზე — ასე ახასიათებს ალანსონის დრამას საფრანგეთის პრესა. ამგვარი შემთხვევები გამონაკლისი არ არის თანამედროვე საფრანგეთში. გაზეთები ფაქტობრივად ყოველ კვირაში იუწყებიან რასისტთა მიერ ჩადენილ დანაშაულობებს.

შემთხვევა

კატასტროფა რკინიგზაზე

ნიუ-იორკი. წინასწარი მონაცემებით, 88 კაცი დაიღუპა და 17 დაშავდა ისლამაბადიდან 140 კილომეტრზე მატარებელთან ავტობუსის შეჯახების შედეგად. იუპის სააგენტოს ცნობით, კატასტროფა მოხდა ავტობუსის მძღოლის მიზეზით, რომელიც შეეცადა დიდი სიჩქარით გადაეკვეთა ლიანდაგი მომავალი მატარებლის წინ. მეტწილად დაზარალდნენ ავტობუსის მგზავრები.

ვარდები მთებში

ვარდები, რომლებიც მაღალ მთებში ყვავის, უჩვეულო სანახავია. მაგრამ მათ წარმატებით ახარებს თავის საკარმიდამო ნაკვეთში ხულოს რაიონის სოფელ ძმაგულის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი იოსებ მახარაძე. გატაცებაა? თავდაპირველად ასეც იყო. მაგრამ შემდეგ მეყვავილემ იფიქრა: რა იქნება, რომ გავაგრძელო მუშაობა, დავაყენო სამრეწველო წარმოების საკითხი და მივიღო ისეთი დეფიციტური და ძვირფასი პროდუქტი, როგორიც ვარდის ზეთია? ამისათვის საჭირო იყო სპეციალისტებისათვის დაემტკიცებინა ჩანაფიქრის მიზანშეწონილობა, დაერწმუნებინა ისინი.

იოსებ მახარაძე გაემგზავრა თელავის რაიონის ნაფარეულის ქარხანა-საბჭოთა მეურნეობაში, რომლის თანამშრომლებთანაც დიდი ხნის მიმოწერა ჰქონდა. იქიდან ჩამოიტანა და თავის სახლთან დარგო კაზანლიკური ვარდის ბუჩქები. პირველმა მოსავალმა ვერ დააკმაყოფილა ენთუზიასტი. მცენარეს სჭირდებოდა აკლიმატიზაცია და მზრუნველი მოვლა. მოთმინების მეტი არ დარჩენოდა. და აი ბოლოს, ჰექტარზე გადაანგარიშებით მიიღო 160 ცენტნერი ვარდის ფურცელი, ნაცვლად თავდაპირველი 30 ცენტნერისა. ეს რაიონის ხელმძღვანელობამაც შეიტყო. მალე მასწავლებელთან მოუხშირეს სიარულს სტუმრებმა, მეცნიერებმა. უკვირდათ, აქებდნენ, კარგი საქმე წამოგიწყიაო, მასწავლებელი სახელმწიფოებრივად აზროვნებსო.

ყოველივე აწონ-დაწონეს, აღძრეს მთიან აჭარაში კაზანლიკური ვარდის გაშენების საკითხი, და ასეც მიატოვეს.

მაგრამ აი რას ამბობენ სპეციალისტები — ეთერზეთოვანი კულტურების საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ლეონიდ ნაზარენკო (ქ. სიმფეროპოლი) და „საქეთერზეთმრეწვის“ სოხუმის საცდელი სადგურის თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გივი ესვანჯია, რომლებიც ამგვარ ცდებს აწარმოებდნენ ხულოსა და შუახევის რაიონებში:

— აჭარის მთიანი რაიონების ეროზიული კალთები წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ვარდის პლანტაციების გასაშენებლად, თუ კომპლექსურად და მაღალხარისხოვნად განვახორციელებთ ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებს, საცდელ ნაკვეთებზე მოვიწიეთ უხვი მოსავალი. სამი წლის მანძილზე საშუალო წლიურმა მოსავალმა ხულოს რაიონში ჰექტარზე შეადგინა 9,6, ხოლო შუახევის რაიონში — 8 ტონა. ვარდის ზეთის გამოსავლიანობამ შესაბამისად — 16,3 და 13,6 კილოგრამი ჰექტარზე.

გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ აჭარაში კაზანლიკური ვარდის გაშენება ეკონომიკურად ხელსაყრელია, იგი აქ ჰექტარზე 2090 მანეთ მოგებას მომავალში გვაძლევს.

(საქინფორმი).

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამ დღეებში განიხილა რესპუბლიკის საბავშვო კურორტების, ბავშვთა დასვენების ზონებისა და კურორტებზე მკურნალობის მდგომარეობის და შემდგომი განვითარების ღონისძიებათა საკითხი. ბიურომ მკაცრად მოსთხოვა შესაბამისი უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომ საბავშვო სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებს, ბავშვთა დასვენების ზონებს აღმოუჩინონ ქმედითი დახმარება.

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ბავშვთა ნეფროლოგიური სანატორიუმის მთავარ ექიმს ალექსანდრე კორინთელს და სთხოვა ემბნა გაზეთის მკითხველებისათვის სანატორიუმის მუშაობის შესახებ.

აქ მკურნალობენ ბავშვებს

ცივ-გომბორის ქედის აღმოსავლეთით, იქ, სადაც პურის ბეღელი — შირაქის ველი იწყება, — თქვა ა. კორინთელმა, — სამი სოფელია — ზემო ქედი, არხილოსკალო და ქვემო ქედი. წინათ არავინ იფიქრებდა, რომ გავიდოდა დრო და სწორედ ამ ადგილას დაიდებდა ბინას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბავშვთა სამკურნალო კერა.

აი, უკვე ორი ათეული წელია, რაც წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს მახლობლად მუშაობს ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უნიკალური ბავშვთა ნეფროლოგიური სანატორიუმი. სანატორიუმის ეფექტიანობას პირველყოვლისა აქაური მშრალი, ცხელი კლიმატი, ჰაერში უარყოფითი იონების მაღალი შემცველობა, სადღეღამისო ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობა განაპირობებს.

სანატორიუმის ტერიტორია ზღვის დონიდან 690 მეტრს სიმაღლეზეა. ზომიერად მშრალი, ცხელი კლიმატი (ივლის-აგვისტოში საშუალოდ 28-30 გრადუსი) საუკეთესო პირობებს ქმნის თირკმლის ანთებითი დაავადებების მკურნალობისათვის.

ცხელი კლიმატის გავლენით ოფლიანობა ძლიერდება, კანის სისხლძარღვები ფართოვდება, რასაც რეფლექსურად მოჰყვება შინაგან ორგანოებში, კერძოდ, თირკმელებში სისხლძარღვთა გაფართოება; ძლიერდება სისხლით მისი მომარაგება, ჩქარდება აღდგენითი პროცესები. გარდა ამისა, ქვეითდება არტერიული წნევა, მყარდება ორგანიზმის შინაგანი წონასწორობა, უმჯობესდება ნივთიერებათა ცვლა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქცია. არსებობის მანძილზე სანატორიუმში 2000-ზე მეტმა ბავშვმა იმკურნალა, მეტად იშვიათი გამონაკლისის გარდა ყველა მათგანი თითქმის მთლიანად განიკურნა.

ბავშვთა ნეფროლოგიური სანატორიუმის ადგილმდებარეობის შერჩევასა და დაფუძნებას დიდი ღვაწლი დასდეს სახელგანთქმულმა სწავლულებმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, აკადემიკოსმა ალექსანდრე წულუკიძემ და პროფესორმა სოკრატე არშბამ.

პაციენტთა კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევისა და დანიშნულებით მკურნალობის საქმეში სანატორიუმს შეფობას უწევს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის № 2 პედიატრიის კათედრა (კათედრის გამგე — პროფესორი მერი გელოვანი).

სანატორიუმს, რომელშიც ამჟამად 200 საწოლია, შეუძლია სეზონზე 2-15 წლის 250 ბავშვს უმკურნალოს. ჩვენი რესპუბლიკის ბავშვებთან ერთად სანატორიუმში ყოველწლიურად მკურნალობენ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ბაქოდან, ერევნიდან, ჩვენი ქვეყნის კიდევ არაერთი ქალაქიდან და კუთხიდან ჩამოსულ ნორჩ პაციენტებს. როგორც მკურნალი ექიმების და მშობლების საუბრიდან ჩანს, ბავშვთა საერთო მდგომარეობა საგრძნობლად უმჯობესდება.

აი, რას წერს ლენინგრადელი ირინე კრავცოვა სანატორიუმის კოლექტივს: „მე და ჩემს კლავდიას არასოდეს დაგვავიწყდება თქვენთან გატარებული დღეები. უკვე მესამე წელია კლავდია საუკეთესოდ გრძნობს თავს. გმადლობთ ყველას ასეთი დიდი ყურადღებისათვის!“. ასეთივე მადლობის ბარათებს გზავნიან სხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან.

რა შეიძლება ითქვას სანატორიუმის სამკურნალო ბაზაზე?

სანატორიუმი თავდაპირველად საექსპერიმენტოდ გაიხსნა და დღემდე შეუფერებელ, არატიპობრივ შენობებშია, ვერც საწოლთა რაოდენობა აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. ზოგჯერ წყალი წყდება, ფერხდება სურსათით, განსაკუთრებით, ბოსტნეულ-ბაღჩეულით მომარაგება. ვერ იქნა და ვერ გადაწყდა წითელწყაროს რაიონის ცენტრთან სატელეფონო კავშირის დამყარების საკითხი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სანატორიუმს ჯერ კიდევ ამ თხუთმეტი წლის წინათ უნდა გამოყოფოდა 12,5 ჰექტარი მიწა ახალი ტიპობრივი შენობების ასაგებად. წელი წელს მისდევს, დადგენილება კი არ სრულდება.

იყო დრო, როცა სანატორიუმის პერსპექტიულობაში ერთგვარი ეჭვი გამოიწვია მოსაზრებამ იმის თაობაზე, რომ ზილიჩისა და თორ-ტარიბანის სარწყავი სისტემის მშენებლობა უარყოფით გავლენას მოახდენდა აქაურ ჰავაზე. სათანადო დაკვირვებამ ცხადყო, ეს შიში ამაო ყოფილა. ასე რომ, სანატორიუმის პერსპექტიულობა აღარავითარ ეჭვს აღარ იწვევს.

„საქკურორტპროექტი“ სათანადო პროექტსა და სხვა სამშენებლო დოკუმენტებს ამზადებს აქ ახალი საკავშირო მნიშვნელობის ნეფროლოგიური სანატორიუმის მშენებლობისათვის; უნდა ვიფიქროთ, რომ ამიერიდან ყურადღება აღარ მოაკლდება ესოდენ საჭირო და საშურ საქმეს.

საუბარი ჩაიწერა
ვლ. მჭედლიშვილმა.

ხვალ შაბათია, ზეგ კვირა...



თერმომეტრი 30 გრადუსზე დაბლა არ ჩამოდის. გუშინ, 4 სექტემბერს, თბილისში 35 გრადუსი იყო, სინოპტიკოსები დღესაც ასეთსავე ტემპერატურას ვარაუდობენ.

ვისაც გაგრილება სურს, თბილისის ზღვას ან ლისისა და კუს ტბებს მიაშუროს, აქ შეგიძლიათ ისეირნოთ ნავებით, იბანაოთ, ითევზაოთ, კარგად დაისვენოთ და სამუშაოს ახალი ენერგიით შეუდგეთ.

საქინფორმის ფოტოკორესპონდენტის ე. რასოევის ეს ფოტომონტაჟი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, თბილისის ზღვაზეა გადაღებული. პლაჟზე კვლავ მრავალი დამსვენებელია, პატარები ლაღად ჭყუმპალაობენ, ზოგი კი ძაღლის წვრთნით არის გართული, ერთი სიტყვით, რა სჯობია აქ დასვენებას!

მოდიან კლუბში

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბავშვთა სპორტული კლუბების საქალაქო სპარტაკიადაზე გამარჯვებით აღნიშნა თავისი სამი წლისთავი თბილისის ლენინის რაიონის № 2 საბინაო-საექსპლოატაციო სამმართველოსთან არსებულმა სპორტკლუბმა.

იგი მილიციის მაიორის თეიმურაზ ლაკიას ინიციატივით იშვა. სსრ კავშირის სპორტის ოსტატი სროლაში, რომელმაც არაერთხელ მოიპოვა მილიციელთა მრავალჭიდის საკავშირო ასპარეზობათა ჯილდოები, მეთაურობს ახლა ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის ინსპექტორთა სამსახურს. მან ყველაზე კარგად იცის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დავიცვათ ბავშვები ქუჩის ზეგავლენისაგან, მივცეთ მათ შესაძლებლობა სასარგებლოდ გაატარონ თავისუფალი დრო.

—საბავშვო სპორტკლუბის შექმნის იდეას მხარი დაუჭირეს სპორტკომიტეტში და რაიონის საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტში, — თქვა თეიმურაზმა. — გამოგვიყვეს შენობა, დაგვეხმარნენ მის გარემონტებაში. კლუბის შეფობა კი მისი შექმნის პირველი დღიდანვე იკისრა სპორტსაზოგადოება „შრომითმა რეზერვებმა“.

დღეს კლუბში იმართება საჭადრაკო ბატალიები, შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში. აქვეა სტენდები, რომლებიც ასახავენ სპორტის ისტორიას. მათთვის მასალები თვით ნორჩმა ფიზკულტურელებმა შეაგროვეს.

„შრომითი რეზერვების“ ბაზებზე კი ალექსანდრე და ხათუნა კიკალეიშვილები, ალიონა კაშპერონი, ნანა თეთრაძე, იურა და საშა ზაიკები და ორასზე მეტი მათი ამხანაგი გატაცებით თამაშობენ ფრენბურთს, კალათბურთს, აითვისეს მშვილდოსნობა.

კლუბის „ვეტერანს“ მიწოდებენ, — ეღიმება ცამეტი წლის ნუკრი მაჭავარიანს. — აქ კლუბის გახსნის დღიდანვე დავდივარ. ფრენბურთი, ჭადრაკი ძალიან კარგია. სკოლაში კი ახლა მხოლოდ კარგი ნიშნები მაქვს.

კარგ ნიშნებზე დაიწყეს სწავლა, აღარ ანერვიულებენ მშობლებსა და პედაგოგებს სხვა ბავშვებიც, რომლებიც წინათ თავისუფლად შეიძლება მოხვედრილიყვნენ ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა რიცხვში. მათს დაინტერესებას მარტო სპორტით როდი ცდილობენ. ერთი წლის წინათ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მთიებში“ მოვიდა ოთხმოცდაათი ბიჭი და გოგონა. მუშაობს აქ ნორჩი მხატვრის წრეც. სიამაყით გვიჩვენებენ ბავშვები №164 საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელის კახი ორმოცაძის ჭედურ ნამუშევრებს. მათ შორისაა სპორტული კლუბის ემბლემა-ჭაბუკი და ლომი, რომელიც ერთმანეთს ეჯიბრებიან ძალასა და სიმარჯვეში.

მალე ბავშვები წავლენ ვ. კიკვიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში. აქ მათ განკარგულებაში გადასცემენ პარაშუტით ხტომისათვის განკუთვნილ კოშკს. კლუბის კიდევ ერთ სექციას სათავეში ჩაუდგება დოსააფის აქტივისტი, გამოცდილი პარაშუტისტი რობინზონ მუსხელაძე. თეორიული მეცადინეობა გაიმართება კლუბის შენობაში, პრაქტიკული კი საქართველოს დედაქალაქის ერთადერთ კოშკზე.

დღეს კლუბში მოდიან ბავშვები მეზობელი მიკრორაიონებიდანაც. აქ ყველას გულითადად მასპინძლობენ.

გ. კორძაძე.

კოდექსი აუდიენციაზე...

ფელეტონი

ურწმუნო თომას ამბავი სრულიად სარწმუნოა. „თომანი ურწმუნონი“ სხვადასხვა სამოსელში, დღესაც შემორჩა საზოგადოებას, როგორც შეუსმენელის სინონიმი: რამდენიც გინდა უთხარი, არ შეისმენს, მთა დაუდგი — არ დაინახავს, ხრამს რომ წააწყდეს, მიწის ბზარი თუ ახალია, არ გადაახტება!

ჯიუტია თომა, მაგრამ ფაქტი, როგორც მოგეხსენებათ, — უფრო ჯიუტი. რასაც ქვემოთ გიამბობთ, ფაქტია და ეხება ახმეტის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეს, თომა... უკაცრავად, ჯემალ ჯავახიშვილს, მის გაუგებარ ახირებას, სუბორდინაციულ ამბიციებს.

პატივცემულო მკითხველო, ჩვენში იშვიათი არ არის, როცა წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელს ისეთი წარმოდგენა აქვს თავისი აზრისა და თავისი სკამის უძლეველობის შესახებ, რომ ურყევად მხოლოდ თავისი სურვილი მიაჩნია და სიმართლედ — მხოლოდ თავისი ნათქვამ-ნააზრევი, ბევრს, მაგალითად, თუ თავმჯდომარედ დანიშნავენ, პირდაპირი მნიშვნელობით ესმის — „თავზე ჯდომა“ — და ასე ჰგონია, რასაც უნდა, იმას უზამს ქვეშევრდომს — უნდა წინ გასწევს და უნდა უკან დასწევს...

1985 წელს ვლადიმერ მაზიაშვილმა თხოვნით მიმართა რედაქციას, უკანონოდ გამანთავისუფლეს, დამაქვეითეს და ხელფასიც დამაკლესო...

განმცხადებელი გვწერდა:

„ახმეტის პროკურატურამ საერთო ზედამხედველობით იმსჯელა ჩემი განთავისუფლების შესახებ და სოფლტექნიკის მმართველს გამოუგზავნა პროტესტი, აგროსამრეწველო გაერთიანებას — წარდგინება...“.

გადავწყვიტეთ რაიონის პროკურორის ეს ყოვლად კანონიერი, მოსაწონი საქციელი შეგვექო და გვეთქვა, რომ კანონი ისაა, ცხოვრებაში რომ ხორციელდება, თორემ უამისოდ ფიქციაა.

აბა, აზრად ვის მოუვიდოდა, რომ პროკურორი კი ამბობს ამას, მაგრამ ჯავახიშვილს ეს არ ესმის და... თქვას რამდენიც უნდა!

როცა თქვენი კორესპონდენტი ეახლა ჯავახიშვილს, ისე გაასავსავა ხელი მაზიაშვილის აღდგენაზე, ვითომ პროკურორს კი არა, ქვისლს მიეწეროს მოკითხვის ბარათი, და მოხდა საკვირველი რამ (უნიკალური ფელეტონის ისტორიაში) — ყველა საბუთი, რომელიც აქ გამოვიყენეთ, თვითონ თავისი საკუთარი ხელით გადმოგვცა, არ ვიცი, რა იფიქრა, ალბათ, რაც გინდათ წერეთ და იკითხეთო, არ მინდა და არ აღვადგენო!

თურმე ყველა კანონის მცოდნე ინსტანცია დაჩოქილი ევედრება ჯავახიშვილს — არა ხარ, კაცო, მართალი, შეისმინე, ნუ გაჯიქდები, კანონს ვერავინ აჯობებს და რაღა შენ გამოხვალ ამირანიო!... მაგრამ ამაოდ.

თავის საწინააღმდეგო მასალების ასე გულდასმით შეგროვებისა და ჩვენთვის გადმოცემისათვის ჯემალ ჯავახიშვილს დიდ მადლობას მოვახსენებთ, და უპირველესად სულ პირველ საბუთს, რაიონის პროკურორის პროტესტს გაგაცნობთ, რომლითაც ირკვევა:

„ვ. ი. მაზიაშვილი სხვა სამუშაოზე გადაყვანილ იქნა საწარმოს ადმინისტრაციის მიერ საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მოთხოვნის უხეში დარღვევით.

აღნიშნულის გამო, ვხელმძღვანელობ რა სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ კანონის 25-ე მუხლით,

გთხოვთ

1. გააუქმოთ საქსოფლწარმოების ახმეტის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს 1984 წლის 3 ივლისის № 28 ბრძანება ვლადიმერ ივანეს ძე მაზიაშვილის სამელიორაციო რაზმის ინჟინერ-ტექნოლოგად გადაყვანის შესახებ და აღადგინოთ პირვანდელ თანამდებობაზე.

2. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლის საფუძველზე ვ. ი. მაზიაშვილს აუნაზღაუროთ ხელფასის სხვაობა დაბალხელფასიანი სამუშაოს დროისთვის, არა უმეტეს სამი თვისა.

3. პროტესტი განიხილოთ მიღებიდან არა უგვიანეს ათი დღისა და განხილვის შედეგი გვაცნობოთ.

ახმეტის რაიონის პროკურორი, პირველი კლასის იურისტი ა. ჯანიაშვილი“.

აი, ამ, საწყისი დოკუმენტისთვის ვინმეს (კერძოდ ჯავახიშვილს) ყური რომ დაეგდო, არ იქნებოდა ამდენი დავა და საჩივარი, მაგრამ აქ ერთ მომენტს უნდა მიექცეს საგანგებო ყურადღება. ხშირად, ძალიან ხშირად შედარებით მაღალ სკამზე წამომჯდარ ამხანაგებს არ ესმით ანდა არ უნდათ გაიგონ, რომ არსებობს სამსახურიდან დათხოვნის სავალდებულო წესი, რომელსაც კანონის ძალა აქვს და აუცილებლად უნდა შესრულდეს.

გულდასმით ვათვალიერებთ, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის იურიდიული სამმართველოს უფროსის, გამოცდილი იურისტის ვ. ასეიშვილის ჯავახიშვილისადმი მიწერილ წერილებს, რომელსაც შედეგი არ მოჰყოლია.

„რაიონის პროკურორის პროტესტი კანონიერია“ — სწერს სამმართველოს უფროსი, მაგრამ ჯავახიშვილს ესმის?

„გთხოვთ გააუქმოთ უკანონო დადგენილება და აღადგინოთ ვ. ი. მაზიაშვილი მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტის და ექსპლოატაციის საწარმოს სახელოსნოს გამგის თანამდებობაზე. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ გვაცნობოთ ორი კვირის ვადაში“, — კვლავ სწერს იურიდიული სამმართველოს უფროსი, მაგრამ გაგიგონია?

„განმეორებით გიგზავნით ჩვენი ამა წლის № 23/62-8 წერილის ასლს ვ. ი. მაზიაშვილის სამუშაოზე აღდგენის შესახებ.

აღნიშნული წერილის შესრულება უნდა გვეცნობებინათ მიღებიდან ორი კვირის ვადაში, რაც თქვენს მიერ არ შესრულდა.

გთხოვთ გვაცნობოთ დავალების შესრულება 15 აპრილისათვის“, — კვლავ სწერენ იურიდიულ სამმართველოდან, მაგრამ...

დავანებოთ თავი წყლის ნაყვას და დავასკვნათ, რომ ჯავახიშვილს თუ არ შევასმინეთ, მაზიაშვილს მამაზეციერიც ვერ აღადგენს. ჩანს, მონუსხულია. მთიელებს ჰქონდათ ასეთი წყევლა — შენი არ იცოდე და სხვისი არ გაიგონოო!

მერედა, ეტყობა, მაინცდამაინც არც უფროსი ჰყავს კანონის დიდი პატივისმცემელი, თორემ კანონის ამდენ თხოვნა-მუდარას რომელი ადამიანი გაუძლებდა!

დიახ, მკითხველს აღარ დავქანცავთ ლაპარაკით მაზიაშვილისადმი ჩვენი პასუხის დაგვიანების მიზეზის შესახებ, ან ჯავახიშვილისა და მისთანებისათვის ნოტაციის კითხვით. ჩვენც პირველად დაუჯერებლად მივიჩნიეთ აქ მოთხრობილი ამბავი და რესპუბლიკის პროკურატურას ვთხოვეთ განემარტა ჩვენთვის — ჯავახიშვილს დარჩა ქვეყანა, თუ ქვეყანას კიდევ აქვს თავისი კანონ-სამართალი.

საქართველოს სსრ პროკურორის პირველმა მოადგილემ ვ. შარაშენიძემ რედაქციას შეატყობინა.

„ჩვენს მიერ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის წინაშე დაისვა საკითხი, მიეცეს შესაბამისი მითითება ახმეტის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების უკანონო დადგენილების გაუქმებისა და მანქანა-ტრაქტორების პარკის რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმოს ადმინისტრაციას მოქ. ვ. ი. მაზიაშვილის სარემონტო სახელოსნოს გამგის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ“.

როგორც ვიცით, მაზიაშვილი ჯერ არ აღუდგენიათ, მაგრამ მაინც ვულოცავთ თეორიულად ბრძოლის მოგებას... პრაქტიკულად კი დავადგინეთ, რომ ჯავახიშვილთან აუდიენციას ელის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა სერიოზული დანაშაულია მშრომელის უკანონოდ დათხოვნა სამუშაოდან პირადი დაინტერესებით...

დ. გერგიშვილი,
რ. დვალიშვილი.

სამხრეთ საქართველოში მომხდარი მიწისძვრის შედეგები

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, 3 სექტემბერს ადგილობრივი დროით 14 საათსა და 29 წუთზე საქართველოს სამხრეთ რაიონებში მოხდა მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრი იყო ახალქალაქის რაიონში მდებარე დიდიაბულის მთის რაიონში.

ოპერატიული მონაცემებით, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ასპინძისა და წალკის რაიონებში მიწისძვრამ ბიძგების ძალამ მიაღწია 5-6 ბალს, რესპუბლიკის დედაქალაქში — 2-3 ბალს. მსხვერპლი არ არის.

ახალქალაქის რაიონში მომხდარი მიწისძვრის შედეგად კიდევ უფრო დაზიანდა სახლები და ნაგებობები, რომლებმაც განიცადეს მიმდინარე წლის მაისში მომხდარი წინა სტიქიური უბედურება. მთლიანად დაინგრა ათი სახლი რაიონულ ცენტრში, ლომა-ტურცხში, ბარალეთში, ხორენიასა და მთელ რიგ სხვა სოფლებში. კედლები გაებზარა 800 საცხოვრებელ სახლს. სოფელ ზაქვში დაინგრა სკოლის შენობა. ძლიერ დაზიანდა სკოლები სოფლებში ხულგუმოში, ბეჟანოში, ბარალეთში, აბულში, კარტიკამში, ბალხოში, კორხში. გარდა ამისა, ზარალი მიადგა 16 მეცხოველეობის სადგომს, კლუბების შენობებს სოფლებში კორხსა და ზაქვში.

ასპინძის რაიონში დაზიანდა რაიონული საავადმყოფოს, სადაბო საბჭოს, რაიკოოპკავშირის, სახანძრო დაცვის შენობები, ჩამოინგრა კულტურის სახლის მინაშენი. სოფელ რუსთავში ძლიერ დაზიანდა კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობა, და მაღაზია. სოფელ ჭობარეთში დაინგრა ხიდი და ორი მეცხოველეობის სადგომი. სოფელ თოკში სტიქიის ზემოქმედება განიცადა შენობების 80 პროცენტმა. სოფელ ვარგავში მიწისძვრა ბიძგებით გამოწვეულმა ჩამონაქცევმა გზა გადაკეტა, ახლა გზაზე მოძრაობა აღდგენილია.

ბოგდანოვკის რაიონში იმატა ბზარებმა სახლებში, რომლებიც დაზიანდა გასული მიწისძვრის დროს. დაინგრა საცხოვრებელი სახლი სოფელ ყულალისში და პირუტყვის სადგომი სოფელ კათნატუში. სულ დაინგრა და დაზიანდა 18 შენობა.

წალკის რაიონში სერიოზული დაზიანება და ნგრევა არ ყოფილა.

მიწისძვრა ბიძგებით გამოწვეული ზარალი ზუსტდება.

(საქინფორმი).

სამეცნიერო პრემიის მინიჭება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის ანდრია რაზმაძის სახელობის პრემია მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს ვახტანგ კოკილაშვილს მონოგრაფიისათვის **„მაქსიმალური ფუნქციები და სინგულარული ინტეგრალები წონიან ფუნქციურ სივრცეებში“.** ეს წიგნი შარშან რუსულ ენაზე გამოქვეყნდა თბილისში და მაშინვე მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება. აი, როგორ შეაფასეს იგი აკადემიკოსმა ს. ნიკოლსკიმ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. კუდრიავცევმა, პროფესორებმა ო. ბესოვმა და პ. ლიზორკინმა: „მონოგრაფიაში აისახა ავტორის მიერ 1981-1984 წლებში შესრულებული გამოკვლევები. მის მიერ ამ პერიოდში მიღებული და ნაშრომში გადმოცემული შედეგები უაღრესად მრავალმხრივი, ღრმაშინაარსიანი და მეცნიერულად მნიშვნელოვანია. ეს შედეგები თავის შრომებში გამოიყენეს საბჭოთა, ჩეხმა და კანადელმა მათემატიკოსებმა... მონოგრაფია მაღალ მეცნიერულ დონეზეა დაწერილი, მრავლად შეიცავს ახალ და საინტერესო მასალას და ხელს შეუწყობს შესაბამისი მიმართულებებით კვლევის შემდგომ განვითარებას“.

ქართველი მათემატიკოსის შრომები კარგა ხანია ცნობილია სპეციალისტთა ფართო წრეებში, ისინი გამოქვეყნებულია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ბულგარეთში, უნგრეთში, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში.

ვ. კოკილაშვილი ანდრია რაზმაძის სახელობის პრემიის მეოთხე ლაურეატია (ი. კიღურაძის, რ. გამყრელიძისა და ზ. ჰანტურიას შემდეგ). იგი დაიბადა 1938 წელს, 1981 წლიდან მეცნიერებათა დოქტორია, ამჟამად მუშაობს ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერთანამშრომლად, ამასთანავე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვ. კოკილაშვილი თვალსაჩინო საბჭოთა მათემატიკოსის აწ გარდაცვლილ ვლადიმერ ჭელიძის მოწაფეა.

ჩვენი ტელემაყურებელი ახალ ლაურეატს იცნობს მაღალ პროფესიულ დონეზე მიმდინარე მათემატიკის ტელეკურსით.

თ. გორგაძე.

ყაბახი

თამაშობენ პრეტენდენტები

მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მეორე პარტიაში თეთრებით იუსუპოვი თამაშობდა. გათამაშდა კატალონიური დასაწყისის ერთ-ერთი ვარიანტი. მეთოთხმეტე სვლაზე სოკოლოვმა ახალი, თეორიაში უცნობი, გაგრძელება გამოიყენა და მეტოქე ხანგრძლივად ჩააფიქრა. მალე ინიციატივას შავები დაეუფლნენ, რომელთაც შეტევა დაიწყეს ლაზიერის ფრთაზე. იუსუპოვმა შეძლო უშუალო მუქარის უვნებელყოფა. მაშინ შავებმა აღარ გაართულეს ბრძოლა და მუდმივი ქიშით პარტია ყაიმით დასრულდა.

ამრიგად, ანგარიში გახდა 1,5-0,5 იუსუპოვის სასარგებლოდ. მორიგი მესამე პარტია დღეს გაიმართება. თეთრებით სოკოლოვი ითამაშებს.

სატურნირო ორბიტა

თავისუფალი ჭიდაობა. მონღოლეთის დედაქალაქის სპორტის სასახლეში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი „მეგობრობა“. ულან-ბატორში 10 სოციალისტური ქვეყნის 94 ჭაბუკმა (18 წლამდე) სპორტსმენმა იასპარეზა. საბჭოთა მოჭიდავეებმა 5 ოქროსა და 3 ვერცხლის მედალი მოიპოვეს. 60 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო გორელი სპორტსმენი გიორგი ხინჩიკაშვილი.

ფეხბურთი. ალმა-ათასა და მოსკოვში გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მატჩები, „ყაირათმა“ ანგარიშით 2:1 დაამარცხა კიევის „დინამო“ (ბურთები გაიტანეს: ალმაათელთაგან — ფეხლევანიდიმ და იაროვენკომ, კიეველთაგან — კუზნეცოვმა). მოსკოვის „ტორპედოსა“ და დონეცკის „შახტიორის“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0. დღეისათვის 26 ქულით სატურნირო ცხრილის თავშია ლენინგრადის „ზენიტი“.

8 სექტემბერს მოსკოვში ჩატარდა პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მატჩი. ცსკა-მ უმასპინძლა ზაპოროჟიეს „მეტალურგს“ და წააგო დიდი ანგარიშით 0:3.

ფრენბურთი. ჩეხოსლოვაკიის ქალაქ პლზენში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის მორიგ შეხვედრაში საბჭოთა კავშირის ნაკრები დამარცხდა გდრ-ის გუნდთან ანგარიშით 2:3 (15:12, 15:10, 11:15, 6:15, 9:15).

ჩალხეეთი კვლავ აღორძინდება

ორჯონიკიძე. (საქ. კორ.) რაიონის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით დაიწყო დაცლილი და დაცლის პირას მისული სოფლების სოციალური და ეკონომიკური საკითხების მოგვარება.

სოფელ ჩალხეეთის აღორძინებისათვის შემუშავებულია სპეციალური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სავარგულების გასუფთავებას, ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების თესვას და მთელი რიგი დარგების, მათ შორის მეთევზეობის განვითარებას. ამ მიზნით მდინარე საკრაულაზე უკვე მოეწყო ტბორი, სადაც 200 კილოგრამი კიბოს ლიფსიტაა გაშვებული.

მომავალში გათვალისწინებულია მეცხოველეობის განვითარება და სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების აღორძინება, რომლებიც კარგა ხანია მივიწყებას მიეცა.

კიდევ ცოტა ხანი და საკრაულას ხეობაში ჩაფლულ იმერულ სოფელში ახალი სიცოცხლე და სიხარული დაისადგურებს.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96.
ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 93-22-93, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 290-68-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; რუსთავი — 14-27-87; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-02; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

ჩვენი ტელევიზია

მოსკოვი

5 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „აჯანყების ისტორია“. VI სერია. 10.55 — დოკუმენტური ტელეფილმი ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა დღისათვის. 11.25 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 12.05 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმები. 16.35 — რუსული მეტყველება. 17.05 და 20.45 — ახალი ამბები. 17.10 — „ჩუვაშური მოხატულობანი“. 17.40 — დედამიწაზე, ცაში და ზღვაში. 18.10 — „რუსული მუზეუმი“. ფილმი პირველი. 18.40 — დოკუმენტური ფილმი. 19.00 და 20.35 — მულტფილმები. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ჭადრაკი. მატჩ-რევანში. 20.05 — ამ დღეების ფოსტა. 20.50 და 22.40 — „აჯანყების ისტორია“. VII და VIII სერია. 22.00 — „ვრემია“. 0.10— დღეს მსოფლიოში. 0.25 — ფილმ-კონცერტი. 0.55 — ჭადრაკი. მატჩ-რევანში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 19.20 — დოკუმენტური ტელეფილმები. 9.35 და 10.35 — მუსიკა. III კლასი. 9.55 და 10.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 10.05 და 13.40 — ინგლისური ენა. 11.05 — საზოგადოებათმცოდნეობა. 11.35 და 12.40 — რუსული ბილინების გმირები. V კლასი. 12.05 — მოგზაურობა ბიბლიოთეკაში. 13.10 — ეკრანი — მასწავლებელს. ისტორია. VI კლასი. 14.10 — ვ. ასტაფიევი. ნაწარმოებთა კვალდაკვალ. 14.55— გეოგრაფია. VII კლასი. 15.25 — ტელეჟურნალი. რელიგია და პოლიტიკა. 16.25 და 19.00 — ახალი ამბები. 19.35 — მოტობოლი. 20.00 — მოგზაურთა კლუბი. 21.00 — „მილი ნებისა, პატარებო“. 21.15 — ფრენბურთი. ქალები. სსრკ და ჩინეთის ნაკრები გუნდები. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — საესტრადო გადაცემა ტალინიდან. 24.00 — ახალი ამბები.

თბილისი

5 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.15 — საბჭოური ცხოვრების წესი — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ყოველ გულში პოვებს გამოძახილს“ და „როგორა ხარ, ანა?“. 11.25 — „მსოფლიო და ახალგაზრდობა“ (მ.). 12.05 — ახალგაზრდობისათვის. „გილოცავთ“ (განმეორებით). 12.50 — მულტიპლიკაციური ფილმი „კონტრაქტი“. 13.00 — ახალგაზრდობისათვის. ტელეკრება — ნარკომანიას დაუნდობელი ბრძოლა. 16.25 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.35 — „ამბავი ნამდვილი ადამიანებისა“. მხატვრული ფილმი „ხელისუფლების უფლება“. 18.00 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 18.10 — მოსწავლეთათვის „საგუნდო მუსიკის კონცერტი“. 18.50 — „მარადიული წყურვილი“. თეიმურაზ მაღლაფერიძე. 19.30 — ახალგაზრდობისათვის. „შუქნიშანი“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. მატჩ-რევანში (მ.). 20.05 — მოამბე. 20.45 — მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა. „ხუთწლედი, წელი პირველი“. 21.00 — კინოჟურნალი. „საბჭოთა საქართველო“. 21.10 — სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან. 21.55 — საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული პროგრამა — „ფილმი, მსახიობი, როლი“.

მეორე პროგრამა. 16.35 — თბილისის საესტრადო და საცირკო ხელოვნების სასწავლებელი (განმეორებით). 17.20 — განცხადებები. 17.25 — მხატვრული ფილმი „შვიდი საათი აღსასრულამდე“. 18.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კვაისელი მეშახტე“.

თეატრი

5 სექტემბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ღამის სერენადა, მავრის პავანა, სერენადა (მე-10 აბონ. მე-5 წარმ.).

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07671 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16